კომენტატორი

№8

ფასი: 1,50 ლარი

საფეხბურთო ჟურნალი, რომელიც არ ძველდება

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნები

ფეხბურთის რაინდი



მაგიური 24 ნელი

ინტერვიუ ჰოჩსტ ეკვლთან

მთავარი რედაქტორი
ტარიელ (ტატო) კინწურაშვილი



მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატების მერვე ბურთი. ინგლისი, 1966 წელი.

დამფუძნებლები:

კობა ბედოიძე.

ტარიელ კინწურაშვილი.

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. #50
http://bedoidze.site.ge/
ტელ.: 2-51-91-27; 557-59-56-82;
ელფოსტა: kbedoidze@hotmail.com
tariel1981@hotmail.com

7 ხუჭუჭამოდგან საქართველოს ნაკრები იწყებს...

2016 წლის ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ჯგუფი

გერმანია
ირლანდია
პოლონეთი
შოტლანდია
საქართველო
გიბრალტარი

ოსტატურ ვნრეთი:

1. საქართველო – ირლანდია 07.09.2014
2. შოტლანდია – საქართველო 11.10.2014
3. გიბრალტარი – საქართველო 14.10.2014
4. საქართველო – პოლონეთი 14.11.2014
5. საქართველო – გერმანია 29.03.2015
6. პოლონეთი – საქართველო 13.06.2015
7. საქართველო – შოტლანდია 04.09.2015
8. ირლანდია – საქართველო 07.09.2015
9. საქართველო – გიბრალტარი 08.10.2015
10. გერმანია – საქართველო 11.10.2015



P.S. 2015 წლის 29 მარტს საქართველოს ნაკრები თბილისში გერმანიას დაუპირისპირდება. 1995 წლის 29 მარტს საქართველო და გერმანია ერთხელ უკვე შეხვდნენ ერთმანეთს თბილისში. ზუსტად 20 წლის შემდეგ მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონებს კვლავ ვუმასპინძლებთ.

სარჩევი

მაგიური 24 წელი ---------- 4
დელ პიეროს ინსტინქტი ---------- 9
საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნები ---------- 10
ფეხბურთის რაინდი ---------- 12
მრავლისმეტყველი ფაქტები ---------- 14
ჰორსტ ეკელი: "პლანეტის ჩემპიონობა მთელმა გერმანელმა ერმა მოიპოვა" ---------- 18
ფეხბურთი მეორე მსოფლიო ომამდე ---------- 20
ტრაგედია-1950 ---------- 21
ბრაზილიური ირონია ---------- 21
საფეხბურთო სტრატეგიები ---------- 22
დიდი გუნდის დიდი მარცხი ---------- 24
ჯეფრი ჰერსტი: „1974 და 1978 წლებში ჰოლანდიელები სრულყოფილ ფეხბურთს თამაშობდნენ" ---------- 25
მოედნის მიღმა ---------- 26

კომენტატორი

ᲗᲐᲓᲐᲡᲐᲮᲔᲓᲘ

მაგიური 24 წელი

ტარიელ კინწურაშვილის კომენტარები

ᲑᲠᲐᲖᲘᲚᲘᲐ – ᲮᲝᲠᲕᲐᲢᲘᲐ 3:1.

ბრაზილიას სამი ქულის მოპოვება გაუჭირდა, მაგრამ ნეიმარისა და ოსკარის სოლო გოლები ერთ რამედ ღირდა!.. ბრაზილიამ შარშანდელივით დაიწყო... მათ ხომ შარშან კონფედერაციის თასზე ერთიმეორის მიყოლებით დაამარცხეს: აზიის ჩემპიონი იაპონია, ჩრდილოეთ ამერიკის საუკეთესო გუნდი მექსიკა, ევროპის ვიცე ჩემპიონი იტალია, სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატის გამარჯვებული ურუგვაი და მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი ესპანეთი...

ᲛᲔᲥᲡᲘᲙᲐ – ᲙᲐᲛᲔᲠᲣᲜᲘ 1:0.

მიუხედავად იმისა, რომ ვგონებ ჩასათვლელი გოლები ჩრდილოეთ ამერიკელებს მსაჯმა არ ჩაუთვალა, გამარჯვება მაინც მექსიკელებს დარჩათ. უდავოა, ისინი სამ ქულას ნაღდად იმსახურებდნენ.

ᲔᲡ�პᲐᲜᲔᲗᲘ – ᲰᲝᲚᲐᲜᲓᲘᲐ 1:5.

ქედს ვიხრი ჰოლანდიელთა წინაშე და არა მარტო იმიტომ, რომ ნარინჯისფერი გუნდი ბრაზილიის ნაკრების შემდეგ ჩემი ჯილაა, არამედ იმიტომ, რომ მფრინავმა ჰოლანდიელებმა ესპანელთა წინააღმდეგ მართლაც იფრინეს. რობინ ვან პერსის ფრენამ და არიენ რობენის რეაქტიულმა სიჩქარემ ესპანეთის ნაკრები დააშამათა – ჰოლანდიის ნაკრებმა სრულფასოვანი რევანში აიღო. შემდეგ ტურში ესპანელებს ასეთი თამაშით ჩილეს დამარცხება ძალიან გაუჭირდებათ.

ᲩᲘᲚᲔ — ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲐ 3:1.

მატჩში ოთხი გოლი გავიდა და აქედან სამი ჩილელთა ანგარიშზეა. ვფიქრობ ანგარიში სრულიად ასახავს მატჩის სცენარს და გუნდების სიძლიერეს.

ᲙᲝᲚᲣᲛᲑᲘᲐ — ᲡᲐᲑᲔᲠᲫᲜᲔᲗᲘ 3:0.

მაგარი გუნდი ჰყავთ კოლუმბიელებს და რაოდენ საწყენია, რომ ფალკაოტრამვის გამო ვერ იცავს თავისი ნაკრების ღირსებას – მასთან ერთად კოლუმბია კიდევ უფრო შთამბეჭდავი იქნებოდა. ისეთი „კერკეტი კაკალის“ გატეხვა, როგორიც საბერძნეთის ნაკრებია, ადვილი არ არის.

ᲣᲠᲣᲒᲕᲐᲘ — ᲙᲝᲡᲢᲐ ᲠᲘᲙᲐ 1:3.

ამ შედეგს კი ნამდვილად არ ველოდი, – კოსტა რიკელებმა ურუგვაელებს მატჩი შემოუტრიალეს და ორ ბურთიანი სხვაობით მოუგეს. ყოჩაღ კოსტა რიკას, კარგი გუნდი ჰყოლიათ. ურუგვაის ნაკრებს კი სუარესი ძალიან აკლდა.

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ — ᲘᲢᲐᲚᲘᲐ 1:2.

იტალია სანაკრებო დონეზე ინგლისს რომ ჯობია კიდევ ერთხელ დამტკიცდა. შემდგომ ტურში ურუგვაელთა და ინგლისელთა დაპირისპირება უკვე ცხოველ ინტერესს იწვევს. მათი შეხვედრის შემდეგ, სავარაუდოდ ერთ-ერთი მათგანი მერვეددფინალში გასვლის შანსს დაკარგავს.

ᲙᲝᲢ ᲓᲘᲕᲣᲐᲠᲘ – ᲘᲐ�პᲝᲜᲘᲐ 2:1.

ჩემი აზრით კოტ დივუარის ნაკრები იაპონიაზე ცოტა ძლიერია და ეს მცირე ძალთა სხვაობა ანგარიშშიც აისახა. აფრიკელებმა ბლომად ოფლი ღვარეს და აზიელებს მინიმალური სხვაობით მოუგეს.

სატოტალიზატორო ენაზე რომ ვთქვათ, ბრაზილიის მოედნებზე მეტი ანუ 2,5-ზე ბევრი გოლი საწყის რვა თამაშიდან შვიდში გავიდა, მაშინ როდესაც წინა მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატზე, საწყის რვა შეხვედრიდან შვიდში, ნაკლები ანუ 2,5-ზე ნაკლები გოლი გადიოდა. ბრაზილია 2014 აშკარად უფრო საინტერესოა ვიდრე სამხრეთ აფრიკა 2010.

ᲨᲕᲔᲘᲪᲐᲠᲘᲐ – ᲔᲙᲕᲐᲓᲝᲠᲘ 2:1.

ერთი შეხედვით თანაბარი ძალის გუნდების შეხვედრა ასევე თანაბარი ორთაბრძოლით წარიმართა, გამოკვეთილი უპირატესობა არც შვეიცარიას ჰქონია და არც ეკვადორს. ერთი კი იყო, შვეიცარიელთა გამოცდილ და ტიტულოვან მწვრთნელს შეცვლებმა გაუმართლა. ოტმარ ჰიტცფელდმა მეორე ტაიმში ადმირ მეჰმედი და ჰარის სეფეროვიჩი შეუშვა მოედანზე და გოლების ავტორებადაც ისინი მოგვევლინნენ.

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ – ᲰᲝᲜᲓᲣᲠᲐᲡᲘ 3:0.

ფრანგებმა ჰონდურასს 3:0 მოუგეს! რაღაც უცნაური თამაში კი გამოვიდა... გაძევებაც იყო, პენალტიც დაინიშნა, ტექნოლოგიის გამოყენებაც გახდა საჭირო და აღმოჩნდა, რომ ბურთმა კარის სასაზღვრო ხაზი გადაკვეთა. გაძევება, პენალტი და ტექნოლოგიური დასკვნა ფრანგთა სასარგებლოდ მეტყველებდა და

მათაც 3:0 მოიგეს, თუმცა კი მამლები უპირატესობას ფლობდნენ და სახიფათოდაც არაერთხელ შეუტიეს.

არგენტინა – ბოსნია 2:1.

მესიმ როგორც იქნა მსოფლიო ჩემპიონატებზე ნავსი გატეხა და გატანილი გოლით მშრალი სერია დაასველა. სწორედ მისი კარგი ასპარეზობის შედეგად შეძლეს არგენტინელებმა წარმატების მიღწევა, თორემ ბოსნიელებმა მრისხანე მეტოქეს ტოლი არაფერში დაუდეს.

გერმანია --- პორტუგალია 4:0.

მსაჯი+თომას მიულერი --- უიღბლობა+პორტუგალია 4:0.

ირანი – ნიგერია 0:0.

მსოფლიო ჩემპიონატის რიგით მეცამეტე შეხვედრაში პირველი ფრე დაფიქსირდა. ირანელმა და ნიგერიელმა ფეხბურთელებმა გოლის გატანაც ვერ შეძლეს.

განა – აშშ 1:2.

ამერიკელთა კაპიტანმა კლინტ დემპსმა მატჩის პირველივე წუთზე გაიტანა გოლი, საბოლოოდ კი აშშ-ის ნაკრებმა ანგარიშით 2:1 დაამარცხა განის ნაკრები.

ბელგია – ალჟირი 2:1.

ბევრს ეგონა, რომ ბელგიელები ადვილად მოიგებდნენ, მაგრამ წითელ ეშმაკებს სამი ქულის მოპოვება ერთობ გაუჭირდათ.

ბრაზილია – მექსიკა 0:0.

ბრაზილიას მექსიკასთან საუკეთესო მატჩი არ ჩაუტარებია, მაგრამ თამაშში ტერიტორიულ უპირატესობას ფლობდა და სახიფათოდაც უტევდა. მატჩის გმირი უდავოდ მექსიკელთა მეკარე გილერმო ოჩოა იყო და სრულიად სამართლიანად, სწორედ ის დასახელდა აღნიშნული შეხვედრის საუკეთესო მოთამაშედ.

რუსეთი – სამხრეთ კორეა 1:1.

რუსეთის ნაკრების მწვრთნელის ხელფასი 8.287.132 ევროა, ხოლო სამხრეთ კორეის ნაკრების თავკაცის ანაზღაურება 586.522. მიუხედავად ამისა სამხრეთ კორეა თავის მეტოქეს უგებდა, საბოლოოდ კი მატჩი ფრედ დასრულდა და რუსეთის თამაში ტაქტიკურადაც გაუმართავი იყო...

ავსტრალია – ჰოლანდია 2:3.

ეს მატჩი ბრაზილია 2014-ზე ჯერჯერობით საუკეთესოა! დაძაბულობით, უშეღავათო ბრძოლით და ულამაზესი გოლებით "შემკულ" თამაშში გამარჯვება ჰოლანდიელებს დარჩათ. ავსტრალიას კარგი გუნდი ჰყავს, ხოლო ჰოლანდიას უძლიერესი.

ესპანეთი – ჩილე 0:2.

აკი ვიძახდი ესპანელებს ჩილელებთან გაუჭირდებათ მეთქი... მიუხედავად ესპანეთის ნაკრების, მათი ფეხბურთელების და საერთოდ ესპანური ფეხბურთის მიმართ ჩემი დიდი პატივისცემისა, უნდა ვაღიარო, რომ "მარაკანაზე" უფრო ძლიერი ჩილეს ნაკრები იყო. თუმცა არაგონესის და შემდეგ ბოსკეს ფორმაციის ესპანეთის ნაკრები, მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში უკვე შესულია როგორც ყველა დროის ერთ-ერთ უძლიერეს და ლამაზად მოთამაშე გუნდად. მათ უკვე ძალიან ბევრი შეძლეს!..

ბოლო ოთხ მსოფლიოს ჩემპიონატზე, ბრაზილიის ნაკრების გარდა ყველა მოქმედი მსოფლიო ჩემპიონი ჯგუფში ჩარჩა!!! 2002 წელი: საფრანგეთი (ერთი გოლიც ვერ გაიტანა) 2010 წელი: იტალია (ჯგუფში ბოლო ადგილზე გავიდა) და 2014 წელი: ესპანეთი (მეორე ტურის შემდეგ, ორ თამაშში ოდენ ერთი გატანილი პენალტი და საკუთარ კარში გაშვებული შვიდი გოლი)

P.S. 2006 წელი: ბრაზილია (ჯგუფში მოიგო ყველა შეხვედრა, გავიდა პირველ ადგილზე, გაიტანა შვიდი და გაუშვა მხოლოდ ერთი გოლი).

კამერუნი – ხორვატია 0:4.

ხორვატების წინააღმდეგ მოასპარეზე კამერუნელი „მოუთვინიერებელი“ ლომები“, ცირკის „მოთვინიერებულ ლომებს“ უფრო გავდნენ. თამაშის დროს კამერუნელმა მოთამაშეებმა ერთმანეთში წაკინკლავებაც მოასწრეს.

კოლუმბია – კოტ დივუარი 2:1.

ქება და ქება კოლუმბიას!.. კოლუმბიის ნაკრებს კარგ ფორმაში მყოფი ფალკაოც რომ ჰყავდეს, მსოფლიო ჩემპიონატის მოგების ერთ-ერთ მთავარ პრეტენდენტად ჩავთვლიდი...

ურუგვაი – ინგლისი 2:1.

მარადონას დრიბლინგებიც მახსოვს, ფეხბურთის მხატვარის, რუუდ გულიტის თავური დარტყმაც თვალწინ მიდგას - 1988 წელს რომ გაუტანა დასაევს და რომარიო-რონალდოს ჯადოქრობებიც არ დამვიწყებია. საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის მატჩებისთვისაც მიყურებია სტადიონიდან (1989-ში რა ჯიგრიანად მოვუგეთ მოსკოვის "სპარტაკს" - დიახ, სწორედ 1989 წელს). საქართველოს ნაკრებისა და თბილისის "დინამოს" საერთაშორისო მატჩებს ხომ თითქმის არ ვტოვებ ხოლმე... ამით იმის თქმა მინდა - საფეხბურთო ქარბორბალა ჩემს გარშემო გუშინ არ დატრიალებულა! სანაკრებო დონეზე, ყმაწვილკაცობიდან ავირჩიე საქომაგო სამკუთხედი, რომლის მწვერვალზეც ზიკოსა და უბრალოდ

ბრაზილიური საფეხბურთო სულისკვეთების მომნუსხველი ზეგავლენით ბრაზილიის ნაკრები მოექცა, ხოლო დანარჩენი ორი კუთხე ჩემს გულში ჰოლანდიისა და ურუგვაის ნაკრებებს ერგოთ. ჰოლანდია გულიტის თამაშის გამო მომეწონა, ურუგვაიმ კი თავისი ისტორიით გამაოცა... ჰოდა რაღა დაგიმალოთ და დღეს ურუგვაელთა გამარჯვებამ ძალიან გამახარა. ინგლისისა და ურუგვაის ნაკრებთა დაპირისპირებაში უფრო ტიტულოვანმა და უფრო ძლიერი ფეხბურთელებით დაკომპლექტებულმა გუნდმა გაიმარჯვა. ურუგვაის ნაკრებმა და მისმა შესანიშნავმა თავდამსხმელმა ლუის სუარესმა მისია შეასრულეს...

იაპონია – საბერძნეთი 0:0.

აზიურ ევროპულ შერკინებაში ნულოვანი ფრე დაფიქსირდა. ამ შედეგმა იაპონიას და საბერძნეთს ჯგუფიდან გასვლის შანსი ძალზე გაურთულა.

იტალია — კოსტა რიკა 0:1.

ბრაიან რუისმა კოსტა რიკული ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვანი გოლი გაიტანა. მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატის მთავარმა არმოჩენამ – კოსტა რიკის ნაკრებმა იტალია დაამარცხა და მეორე ტურის შემდეგ მერვედფინალში თამაშის უფლება მოიპოვა. მსოფლიო ჩემპიონების ჯგუფში მყოფ კოსტა რიკელებს, ურუგვაი და იტალია პირველ ადგილშიც ვეღარ შეეცილებიან.

შვეიცარია — საფრანგეთი 2:5.

ფრანგები „ომახიანად“ მიიწევენ წინ! საინტერესო იქნება მათი თამაში მერვედფინალური ეტაპიდან...

ჰონდურასი – ეკვადორი 1:2.

ეკვადორმა ენერ ვალენსიას გატანილი გოლებით მოიგო! ასე და ამრიგად, მსოფლიო ჩემპიონატზე მყოფი ექვსი სამხრეთ ამერიკული ნაკრებიდან, გამარჯვების მოპოვება ყველამ შეძლო...

არგენტინა – ირანი 1:0.

ყოჩაღ მესი!!! თორემ 2014 წლის 21 ივნისის არგენტინის ნაკრების დასათაურება ასე შეიძლება: "უსუსურობავ, არგენტინის ნაკრები უნდა გერქვას შენ!" ქება და ქება ირანელ ფეხბურთელებს და მათ მთავარ მწვრთნელს - კარლუშ კეირუშს!..

გერმანია – განა 2:2.

აღსანიშნავია, რომ 2006 წელს რონალდომ გერმანელი გერდ მიულერის რეკორდი გერმანიაში გააუმჯობესა. მან განის ნაკრებს გაუტანა სარეკორდო მეთხუთმეტე გოლი, ხოლო გაგერმანელებულმა პოლონელმა მიროსლავ კლოზემ, მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატზე, იგივე განის ნაკრებს შეუგდო თავისი მეთხუთმეტე გოლი და ბრაზილიაში გაიმეორა ბრაზილიელი რონალდოს რეკორდი. მატჩი კი საინტერესო საცქერი აღმოჩნდა - გერმანელებმაც და განელებმაც თვალსაჩინო თამაში შემოგვთავაზეს და ერთურთის კარში ორ-ორჯერ მოათავსეს ბურთი.

ნიგერია – ბოსნია 1:0.

მართალია მსაჯები შეცდნენ და ბოსნიელ ედინ ჯეკოს ნაღდი გოლი არ ჩაუთვალეს, მაგრამ ნიგერია უფრო უკეთ თამაშობდა და აფრიკელებმა ფიზიკურ კონდიციებშიც აჯობეს ევროპელებს. ნიგერიელთა შეტევები უფრო მრავალფეროვანი იყო, რაშიც დიდი წვლილი ერთადერთი გოლის ავტორს ემანუელ ემენიკეს მიუძღვის.

შენიშვნა კომენტატორებს: პასი გააკეთა, ცნობადი ფეხბურთელი, არასაინტერესო, ეს მოთამაშე ლეგენდაა და ა.შ... სწორი არ არის. ეგრეთწოდებული ჯანსაღი კრიტიკა მისაღები უნდა იყოს და მე მგონი კომენტატორები არ გვიწყენენ თუ შევუსწორებთ.

სწორია: პასი მიაწოდა, ცნობილი ფეხბურთელი, უინტერესო, ხოლო სიტყვა ლეგენდა ეტიმოლოგიური მნიშვნელობით, ხალხური, უპირატესად რელიგიური ხასიათის ზეპირი გადმოცემაა ან ახსნა-განმარტებითი ტექსტია, რომელიც დართული აქვს გეგმას, რუკას, დიაგრამას... ლეგენდას მზვერავის მოგონილ, შეთხზულ ბიოგრაფიასაც ეძახიან.

ბელგია – რუსეთი 1:0.

ბელგიელებმა გაჭირვებით, დივოკ ორიგის მიერ ბოლო წუთებზე გატანილი ერთადერთი გოლის წყალობით დაამარცხეს რუსები და მერვედფინალში გავიდნენ...

სამხრეთ კორეა – ალჟირი 2:4.

შესანიშნავი თამაში შემოგვთავაზეს ალჟირელებმა და სამხრეთ კორეელებმა. ფეხბურთელები მოედანზე ბურთითაც და უბურთოდაც ძალიან სწრაფად მოქმედებდნენ. მატჩში შეიქმნა უამრავი სახიფათო მომენტიც, რომლის შედეგიანად გამოყენება უფრო მეტჯერ ალჟირის ნაკრების მოთამაშეებმა შეძლეს.

აშშ – პორტუგალია 2:2.

ტყუილად არ მქონდა ამერიკელთა იმედი – ისინი მსოფლიო ჩემპიონატზე ამტკიცებენ, რომ აშშ-ში ფეხბურთი პროგრესირებს. პორტუგალიელებს გაუმართლათ და მატჩის ბოლო წამზე ანგარიში გაათანაბრეს.

ჰოლანდია – ჩილე 2:0.

ჰოლანდიისა და ჩილეს ნაკრებებმა მეორე ტურშივე გაინაღდეს მერვედფინალში მონაწილეობის უფლება, თუმცა მათი დაპირისპირება ჯგუფში პირველ ადგილზე გამსვლელს არკვევდა, – ამიტომ ეს მატჩი შინაარსობრივადაც საინტერესო იყო. ჰოლანდიის ნაკრებმა კაპიტნისა და გუნდის ერთ-ერთი ლიდერის რობინ ვან პერსის გარეშე დაამარცხა

ჩილელთა გუნდი და ჯგუფში ქულათა მაქსიმუმი მოაგროვა.

ავსტრალია – ესპანეთი 0:3.

ესპანეთმა გაიმარჯვა და კარი გაიჯახუნა...

კამერუნი – ბრაზილია 1:4.

ნეიმარმა დაგლიჯა! ბრაზილიამ მოიგო! კამერუნმა პრესტიჟის გოლი გაიტანა!

ხორვატია – მექსიკა 1:3.

აღნიშნულ ორთაბრძოლაში უფრო ძლიერი მექსიკა აღმოჩნდა და მერვედფინალში გავიდა.

იტალია – ურუგვაი 0:1.

პირადად მე ურუგვაის ვქომაგობდი და გამიხარდა კიდეც, რომ მათ მერვედფინალში გააღწიეს, მაგრამ უნდა ავღნიშნოთ – სამხრეთამერიკელებმა უპირატესობა მას შემდეგ მოიპოვეს, რაც იტალია ათი კაცით დარჩა. ურუგვაელთა ლიდერად მათი კაპიტანი დიეგო გოდინი მოგვევლინა. გოდინიმ ჩემპიონთა ლიგის ფინალშიც გაიტანა, იტალიასთანაც თავი გამოიჩინა და ესპანეთის ჩემპიონატის ბოლო ტურში "ბარსელონასაც" შეუგდო, რის შედეგადაც მადრიდის „ატლეტიკო" ჩემპიონი გახდა. ცენტრალური მცველის მიერ ესოდენ გადამწყვეტ მატჩებში გატანილი გოლები ბევრ რამეზე მეტყველებს.

კოსტა რიკა – ინგლისი 0:0.

NO COMMENT!

იაპონია – კოლუმბია 1:4.

კოლუმბიამ ჰოლანდიელთა მსგავსად ჯგუფში მესამე შეხვედრაც მოიგო და ქულათა მაქსიმუმს მოუყარა თავი.

საბერძნეთი – კოტ დივუარი 1:2.

მსაჯის მიერ ბოლო წამზე მოგონილმა პენალტმა კოტ დივუარი გაწირა და მერვედფინალში საბერძნეთი გაიყვანა.

ნიგერია – არგენტინა 2:3.

არგენტინელთა რიგებში კვლავ მესი გამოირჩა, მისმა გუნდმა კი ისევ ერთი ბურთის სხვაობით გაიმარჯვა და ჯგუფში ცხრა ქულას მოუყარა თავი.

ბოსნია – ირანი 1:3.

ირანი მოგების შემთხვევაში ჯგუფიდან გავიდოდა, მაგრამ მათ ძალა და შემართება აღარ ეყოთ და უმოტივაციო ბოსნიასთან დამარცხდნენ.

ჰონდურასი – შვეიცარია 0:3.

შვეიცარიელმა თავდამსხმელმა შერდან შაქირმა ჰონდურასის ნაკრებს სამი უპასუხო ბურთი გაუტანა და თავის გუნდს არგენტინის ნაკრებთან დაპირისპირების წინ მშვენიერი განწყობა შეუქმნა.

ეკვადორი – საფრანგეთი 0:0.

სამხრეთამერიკული გუნდებიდან აშკარად ყველაზე სუსტი ეკვადორის ნაკრები ჯგუფში ჩარჩა, თუმცა მათ ოთხი ქულა მოაგროვეს, მოწინააღმდეგეთა კარში გაიტანეს სამი, ხოლო საკუთარ კარში მიიღეს ამდენივე ბურთი.

აშშ – გერმანია 0:1.

ბევრს ეგონა თითქოს ეს მატჩი ფრედ დამთავრდებოდა, რადგანაც ფრის შემთხვევაში ორივე გუნდი გადიოდა მერვედფინალში. ეჭვს კლინსმანისა და ლიოვის მეგობრობაც ამძაფრებდა, თუმცა გერმანიამ მოიგო და დამარცხების მიუხედავად აშშ-ის ნაკრებიც ჯგუფიდან გავიდა.

პორტუგალია – განა 2:1.

პორტუგალიას გამარჯვებამ ვერ უშველა და ჩემპიონატს გამოეთიშა. აღსანიშნავია, რომ კრიშტიანო რონალდომ გოლი გაიტანა და მუნდიალს უგოლოდ არ გამოემშვიდობა.

სამხრეთ კორეა – ბელგია 0:1.

ბელგიამ მსგავსად არგენტინისა ჯგუფში ყველა მატჩი მინიმალური სხვაობით მოიგო.

ალჟირი – რუსეთი 1:1.

წყალში ჩაიყარა ფაბიო კაპელოსთვის გადახდილი მილიონები... რუსები ბრაზილიის დასატოვებლად დაირაზმნენ!

მერვედფინალი:

ბრაზილია – ჩილე 1:1 (პენ 3:2)

ბრაზილიამ ბეწვის ხიდზე გაიარა – ისე კი მსაჯი, რომელმაც წინა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალი იმსაჯა, რამოდენიმე მომენტში აშკარად მიემხრო ჩილელებს – კულმინაცია კი ჰალკის მიერ წესების სრული დაცვით გატანილ გოლზე თვალების დახუჭვა იყო. პენალტების სერიაში ჟულიო სეზარი, როგორც სჩვევია ხოლმე ჩინებულად გაისარჯა და ბრაზილიის ნაკრებმაც გამარჯვებას მიაღწია, მაგრამ ამის გაკეთება ძალზე გაუჭირდა – მსოფლიო ჩემპიონატის ტრიუმფით დასრულება ადვილი არ იქნება.

კოლუმბია — ურუგვაი 2:0.

კოლუმბიამ ლამაზ სტილში – ხამეს როდრიგესის გატანილი ეფექტური გოლების წყალობით დაამარცხა ურუგვაი. ხამეს როდრიგესს ტურნირზე უკვე ხუთი გატანილი გოლი დაუგროვდა, რაც ჯერ-ჯერობით საუკეთესო შედეგია. მას ოთხ-ოთხი გატანილი გოლით კვალში უდგანან: ბრაზილიელი ნეიმარი, არგენტინელი მესი და გერმანელი მიულერი. ურუგვაის ნაკრებს კი, ისევე როგორც კოსტა რიკასთან შეხვედრის დროს, დისკვალიფიცირებული სუარესი ძალიან ეკლდა.

ჰოლანდია — მექსიკა 2:1.

ჰოლანდიის ნაკრები მთელი თამაშის განმავლობაში ინერტული იყო, აგებდა კიდეც, თუმცა მატჩის ბოლოსკენ ძალა მოიკრიბა და შეხვედრის დასრულებას როდესაც ორი წუთი ეკლდა ჯერ სნეიდერმა ანგარიში გაათანაბრა, ხოლო მსაჯის მიერ დამატებულ წუთებზე, რობენის მიერ მონადირებული პენალტი, შეცვლაზე შესულმა ჰუნტელაარმა გოლად აქცია.

კოსტა რიკა – საბერძნეთი 1:1 (პენ 5:3)

კოსტა რიკელი ფეხბურთელები გმირები არიან! ისინი მსაჯმა აშკარად დაჩაგრა – მათ სასარგებლოდ არ დანიშნა უდავოდ დასანიშნი პენალტი და მეორე ტაიმში დუარტეც გაუძევა მოედნიდან. კოსტა რიკელები არ გატყნენ, ბოლომდე იბრძოლეს და მატჩი თერთმეტმეტრიანი დარტყმების სერიამდე მიიყვანეს – ჰოდა საბოლოოდ გამოთიშეს კიდეც ბერძნები გათამაშებას.

საფრანგეთი — ნიგერია 2:0.

ფრანგებმა ნიგერიელებს მოუგეს! ნიგერიელები მთელი ოთხმოცი წუთი ჯობდნენ მეტოქეს, გოლიც კი გაიტანეს, რომელიც მსაჯმა რატომღაც არ ჩათვალა – თამაშგარე ეგონა... შემდეგ ფრანგები დაიქოქნენ და მატჩის ბოლოსკენ ნიგერიის ნაკრებს ორი გოლი გაუტანეს.

გერმანია – ალჟირი 0:0 (1:0. 1:1).

მატჩი დაძაბულად და საინტერესოდ წარიმართა... შეხვედრის ძირითადი დრო, (სადაც ალჟირელებმა გერმანელებს გოლიც კი გაუტანეს, რომელიც მსაჯმა თამაშგარე სიტუაციის გამო არ ჩათვალა) აბსოლუტურად თანაბარი ორთაბრძოლით აღინიშნა. უკვე დამატებულ ტაიმებში გერმანელებმა კლანჭები გამოაჩინეს და მეტოქეს ორი ბურთი გაუტანეს, მაგრამ ფინიშის სწორზე ალჟირელებმაც შეუგდეს ერთი ბურთი გერმანელებს. ალჟირის ნაკრები გათამაშებას გამოეთიშა, თუმცა მათ თავი კარგი თამაშით დაგვამახსოვრეს და ისინი სამშობლოში თავაწეულები დაბრუნდებიან.

ბელგია – აშშ 0:0 (2:0. 0:1).

ბელგიელებმა და ამერიკელებმა შესანიშნავი თამაში შემოგვთავაზეს. მატჩის განმავლობაში წითელი ეშმაკები უპირატესობას ფლობდნენ, მაგრამ კლინსმანის შეგირდებიც არ მოქმედებდნენ ურიგოდ. ორი კარგი გუნდის დაპირისპირებაში ცოტა უფრო ძლიერმა იმარჯვა. მეოთხედფინალში გასვლა ბელგიელებმა ნამდვილად დაიმსახურეს.

მეოთხედფინალი:

საფრანგეთი – გერმანია 0:1.

და აი პირველი ნახევარფინალისტიც გამოვლინდა – გერმანიის ნაკრებმა ანგარიშით 1:0 დაამარცხა საფრანგეთის ნაკრები. მართალია გერმანელების და ფრანგების დაპირისპირება არ გამოდგა ისეთი დაძაბული და დრამატული, როგორც ეს მსოფლიოს მეთორმეტე ჩემპიონატის ნახევარფინალში, შორეულ 1982 წლის 8 ივლისს – სევილიას "სანჩეს პისხუანზე" იყო, მაგრამ ნათქვამია გამარჯვებულებს არ ასამართლებენო. გერმანია ნახევარფინალშია!

ბრაზილია – კოლუმბია 2:1.

ბრაზილიამ ცენტრალური მცველების: ტიაგო სილვას და დავიდ ლუისის მიერ გატანილი გოლებით, მსოფლიო ჩემპიონატზე აქამდე ყველაზე ლამაზად და შედეგიანად მოთამაშე კოლუმბიის ნაკრები დაამარცხა! ჩილესთან ბრაზილიას ნაღდი გოლი არ ჩაუთვალეს და 100%-იანი პენალტი არ დაუდეს - კოლუმბიასთან შეხვედრაში კი მასპინძლების კარში პენალტი დანიშნეს, ისევე როგორც შარშან გამართული კონფედერაციის თასის ნახევარფინალში და ფინალში, მაგრამ ბრაზილიის ნაკრებმა კონფედერაციის თასი მოიგო! ნეიმარზე უხეშობისათვის მსაჯს, ესპანელ კარლოს ველასკოს რეაქცია არ ჰქონია, მაშინ როდესაც უმნიშვნელო წესის დარღვევისთვის ბრაზილიის ნაკრების კაპიტანი ტიაგო სილვა გააფრთხილა და მას მომდევნო მატჩის გამოტოვება მოუწევს". მოკლედ ბრაზილიელები გერმანელებს კაპიტანის ტიაგო სილვას და გუნდის ლიდერის ნეიმარის გარეშე დაუპირისპირდებიან...

არგენტინა – ბელგია 1:0.

არგენტინის ნაკრებმა იგუაინის ზუსტი დარტმის შედეგად, კვლავ ერთი ბურთის სხვაობით დაამარცხა მეტოქე. ბელგიელთა ნაქებმა გუნდმა არგენტინელებს დიდი წინააღმდეგობა ვერ გაუწია.

ჰოლანდია – კოსტა რიკა 0:0 (პენ 4:3)

პირველ რიგში კოსტა რიკის ნაკრებს შევაქებ – მათ რაც მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატზე შეძლეს გმირობის ტოლფასია. ჰოლანდიის ნაკრებს კი სულ უფრო და უფრო უჭირს, თუმცა ნარინჯისფერი მფრინავები წინ მაინც მიიწევენ – მათ პენალტების სერიაში აჯობეს კოსტა რიკელებს და ნახევარფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს, სადაც ისინი არგენტინის ნაკრებს შეებრძოლებიან - დიახ, სწორედ, რომ დიდი ორთაბრძოლის მომსწრენი გავხდებით...

ნახევარფინალი:

ბრაზილია — გერმანია 1:7

ბრაზილიის ნაკრები საკუთარ ქვეყანაში სამარცხვინოდ დამარცხდა. გერმანიამ პირველად დაამარცხა პენტაკამპეონები ოფიციალურ მატჩში და ეს ძალზე დამაჯერებლად გააკეთა. ეგეთებიც ხდება - შეიძლება ფეხბურთის 150 წლიან ისტორიაში ბრაზილიამაც წააგოს მუნდიალზე ანგარიშით 1:7. რაც შეეხება მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატის ნახევრფინალს, უნდა ითქვას, რომ გუნდის კაპიტანისა (ტიაგო სილვა) და გუნდის ლიდერის (ნეიმარი) გარეშე დარჩენილმა ბრაზილიის ნაკრებმა, ვერავითარი წინააღმდეგობა ვერ გაუწია გერმანელებს. ბრაზილიე-

ლი ფეხბურთელები სწრაფმა ორმა გოლმა დააბნია და მას მერე ბელუ ორიზონტის "ესტადიო მინეიროზე" მხოლოდ ერთი გუნდი თამაშობდა ფეხბურთს. ეს გუნდი გერმანიის ნაკრები იყო!

ჰოლანდია – არგენტინა 0:0 (პენ 2:4)

მსოფლიო ჩემპიონატის მეორე ნახევარფინალური დაპირისპირება ჰოლანდიელთა და არგენტინელთა მონაწილეობით, აბსოლუტურად თანაბარ ორთაბრძოლაში წარიმართა, დიდი იყო დაძაბულობა, ფეხბურთელებმა კი ვერ გამოავლინეს საუკეთესო თვისებები და მატჩი სანახაობრივად არც თუ ისე მიმზიდველი გამოდგა. შეხვედრა პენალტების სერიით დასრულდა, სადაც არგენტინელმა ფეხბურთელებმა და მათმა მეკარემ უფრო იყოჩაღეს! თუ საფეხბურთო ისტორიას გადავხედავთ – აღმოვაჩენთ, რომ არგენტინისა და გერმანიის ნაკრებები, მსოფლიო ჩემპიონატის გადამწყვეტ მატჩში მესამედ შეხვდებიან ერთმანეთს. ერთი ფინალი არგენტინას აქვს მოგებული, ხოლო მეორე გფრ-ის ნაკრებს. რა მოხდება რიო დე ჟანეიროს "მარაკანას" სტადიონზე 2014 წლის 13 ივლისს? აი კითხვა, რომელიც დღესდღეობით ყველაზე აქტუალურია დედამიწის ნებისმიერ კონტინენტზე - განსაკუთრებით კი სამხრეთ ამერიკასა და ევროპაში.

მატჩი მესამე ადგილისთვის:

ბრაზილია – ჰოლანდია 0:3

გულახდილად ვიტყვი ამ მატჩში ჰოლანდიას ვქომაგობდი, რადგან ეს ჩემპიონატი ბრაზილიის ნაკრებისა არ იყო და თან ჰოლანდიის ნაკრებიც ჩემი გუნდია, თუმცა უიღბლო... მეტიც – მსოფლიო მასშტაბით უტიტულო (სამჯერ გავიდნენ მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში და სამივეჯერ დამარცხდნენ) და ეს მესამე ადგილი ალალია მათთვის. ბრაზილია კი რამხელა საფეხბურთო გაქანების ქვეყანაა, რომ ესე ცუდად მოთამაშე ნაკრებითაც კი შეუძლია, უამრავი ქვეყნისთვის საოცნებო მეოთხე ადგილზე გასვლა. იმ ადამიანს კი რომელმაც ეს შეხვედრა იმსაჯა, კარგი იქნება თუ მსაჯობას საერთოდ აუკრძალავენ, მისმა არაერთმა უსამართლო გადაწყვეტილებამ ბრაზილიის ნაკრები დააზარალა... ვულოცავ ჰოლანდიას მესამე ადგილზე გასვლას და ვუსურვებ ევროპის 2016 წლის ჩემპიონატის მოგებას!..

ფინალი:

გერმანია – არგენტინა 0:0 (0:0. 1:0)

მაგიური რიცხვი 24... ბრაზილიამ 1994 წელს მსოფლიო ჩემპიონატი მეოთხედ 24 წლის შემდეგ მოიგო. იტალიამ 2006 წელს მსოფლიო ჩემპიონატი მეოთხედ 24 წლის შემდეგ მოიგო. გერმანიამ 2014 წელს მსოფლიო ჩემპიონატი მეოთხედ 24 წლის შემდეგ მოიგო. ნეტავ რას უნდა ნიშნავდეს ჰა? ისე კი წელს, გერმანია არგენტინაზე მეტად იმსახურებდა კვარცხლბეკზე ასვლას და ასეც მოხდა. მარიო გიოტცეს მიერ ასმეცამეტე წუთზე გატანილი ერთადერთი გოლი ლოგიკური იყო. ვულოცავ გერმანიის ნაკრებსა და მათ გულშემატკივრებს მსოფლიო ჩემპიონობას.

P.S. **გასულმა მსოფლიო ჩემპიონატმა დაგვანახა, რომ ისეთი გუნდები, რომლებსაც ადრე აინუშშიც არავინ აგდებდა, უკვე ძალიან დიდ წინააღმდეგობას უწევენ აღიარებულ ნაკრებებს, რაზეც მერვედფინალური და მეოთხედფინალური ეტაპი მეტყველებს. აღნიშნულ ეტაპებზე ვერც ერთმა ფავორიტმა დამაჯერებლად ვერ მოიგო – ყველამ პენალტების სერიით, დამატებით დროში ან მაქსიმუმ ერთი ბურთის სხვაობით გაიმარჯვა... მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატზე აღსანიშნავია მეკარეების კარგი თამაშიც – არაერთმა გოლკიპერმა, ისეთებმაც რომლებისგანაც ნაკლებად ველოდით, შესანიშნავად წარმოაჩინეს თავი, ხოლო მსაჯობის თემა კვლავ ყველაზე დიდ პრობლემად რჩება ფეხბურთში. მსოფლიოს მეოცე საფეხბურთო ჩემპიონატი მსაჯობის მხრივ იყო სამარცხვინო და სავალალო... უდავოა, რომ ფიფამ რაღაც უნდა შეცვალოს – მთვარეზე გაფრინდა ადამიანი და არა მგონია ოცდამეერთე საუკუნეში მსაჯობის სავალალო მდგომარეობას ტექნოლოგიური გასაღები არ მოეძებნებოდეს...**

დელ პიეროს ინსტინქტი

მოედანზე არის მომენტები როდესაც მარტო რჩები. ხანდახან ასეთი მომენტები გრძელდება რამდენიმე წამი, როდესაც არც მოწინააღმდეგემ, არც თანაგუნდელებმა და არც თავად არ იცი თუ რას გააკეთებ წამის მეასედის შემდეგ. არსებობ მხოლოდ შენ და ბურთი, რომელიც შენ მიიღე. ასეთ დროს ყველაფერი უნდა დაივიწყო: ფიზიკური მდგომარეობა, მწვრთნელის, თუნდაც პარტნიორების შეფასება, პირადი ცხოვრებაც და საკუთარი თავიც. თუ შენში ეს არ მოხდა, მაშინ ასეთ სიტუაციებში შენ გააკეთებ ყველაზე კონსერვატიულ, ლოგიკურ, იოლად „წასაკითხ“ მოქმედებას და ეს მოწინააღმდეგეს გარკვეულ კომფორტს შეუქმნის. ასეთ მომენტებში საჭირო იყო საკუთარ სამყაროში ჩაფლული და არ ფიქრობდე ლოგიკურ მოქმედებებზე. ამ შემთხვევაში გეძლევა უპირატესობა, მხოლოდ ამ შემთხვევაში შეგიძლია მისცე სრული თავისუფლება შენს ინსტინქტებს და შეასრულო ისეთი რამ, რასაც არასდროს არ შეასრულებდი მხოლოდ ტვინით რომ გეხელმძღვანელა. მე ჩემი კარიერის განმავლობაში ყოველთვის ვაკეთებდი იმას, რასაც ვგრძნობდი და მორჩა. ეს ყველაფერი იმდენად შესანიშნავი იყო, რომ ხანდახან ვერც კი ვიხსენებ ხოლმე.

კანდიდატი

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნები

კომენტატორმა თავისი პოზიცია – საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობის ერთ-ერთ კანდიდატზე, ჟურნალის მეექვსე ნომერში და სოციალურ ქსელში დააფიქსირა. გთავაზობთ კიდევ ერთხელ ჩვენს პოზიციას და იმ კომენტარებს, რომლებიც მას მოყვა...

როდესაც მშობლიური საფეხბურთო ნაკრები ან კლუბი საერთაშორისო ასპარეზზე წარმატებას მიაღწევს – დაწყებული ფეხბურთის მცოდნე ქომაგებიდან, დამთავრებული ამ თამაშთან მწყრალად მყოფ ადამიანებამდე, ყველა სიხარულის საბურველში გაეხვევა ხოლმე...

ასე ხდება, როცა ჩვენი სასახელო რაგბისტები იმარჯვებენ, რადგან ფეხბურთიცა და რაგბიც გუნდურ თამაშთა რიცხვს განეკუთვნებიან. გუნდურ სპორტში დიდი გამარჯვებების მიღწევა ქვეყანაში ერთიანობის ხარისხსაც უფრო აუმჯობესებს, იმიტომ, რომ ცხოვრებაშიც და სპორტშიც გრანდიოზულ მიზნებამდე მისვლა, ერთიანობით, ერთ ჯანსაღ გუნდად გადაქცევით შეიძლება მოხერხდეს!

სამწუხაროდ რაგბისგან განსხვავებით, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მაღალჩინოსანთა უნიათო გარჯის შედეგათ, ქართული ფეხბურთი სულს ღაფავს. სპორტის ნომერ პირველ სახეობაში ბევრი რამ არის სასიკეთოდ შესაცვლელი და სწორედ ამ დროს, ღირსეულმა კაცმა, დიდმა ფეხბურთელმა, რომელსაც ბევრისაგან განსხვავებით არ სჩვევია იაფფასიანი საუბარი და ამა თუ იმ ყვითელი გადაცემიდან პრანჭვა-გრეხვა, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის 2015 წლის არჩევნებზე, თავისი კანდიდატურა ოფიციალურად დაადასტურა.

ეს კაცი არის ვლადიმერ გუცაევი, რომელმაც თავის დროზე „ლივერპული“ გაოცებული დატოვა, „ბაიერნის“ ფეხბურთელებს პირი დააღებინა, იმ ტურნირში სადაც „რეალი“ მონაწილეობდა საუკეთესო მოთამაშე გახდა, ევროპის თასების მფლობელთა თასის: მეოთხედფინალში, ნახევარფინალში და ფინალში გოლები გაიტანა და ასე შემდეგ...

ის კი, არ ტრაბახობს, არ პოზირებს, თავი არ მოაქვს... პარადოქსია მაგრამ ფაქტია არა? ფაქტია ისიც, რომ მას ქართული ფეხბურთი უყვარს. ვლადიმერ გუცაევი პასუხისმგებლობით აღსავსე პიროვნებაა, მას საქმის მაღალ დონეზე შესრულება სჩვევია – რაც არაერთხელ დაამტკიცა... ჟურნალი „კომენტატორი“ ვლადიმერ გუცაევს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობას უსურვებს!

ივლისის FACEBOOK კომენტარები:

კომენტარი პირველი: – რომ არ ტრაბახობს, არ პოზირებს, ღირსეული კაცი რომ არის, „ლივერპული“ რომ გააოცა, „ბაიერნს“ რომ პირი დააღებინა, „კარლ ცაისი“ რომ შუაზე გააპო, რომ არ სჩვევია პრანჭვა-გრეხვა და ა.შ... ყველაფერი გასაგებია და ძალიან კარგია, მაგრამ ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობისთვის ეს დამსახურებები საკმარისია? მთავარია მან თქვას, როგორ აპირებს მდგომარეობის გამოსწორებას, რა ხედვა აქვს სხვადასხვა მიმართულებებით და როგორ განხორციელდება ეს ყველაფერი? მერე იქნებ მართლა მიჩნეულიყო ღირსეულ კანდიდატად...

კომენტარი მეორე: – მისი მონაწილეობით გადაცემები მაქვს ნანახი და როგორც განმარტავდა სიტუაციის გამოსწორებას ბავშთა ფეხბურთის განვითარებით და იქ არსებული გადასახადების გაუქმებით აპირებს.

ჟურნალი კომენტატორი: – ის აპირებს ქართულ ფეხბურთში ინვესტიციების მოზიდვას, საფეხბურთო ინფრასტრუქტურის განვითარებას, ნორჩი ფეხბურთელებისთვის ხელის შეწყობას და ა.შ... ბევრისგან მოვისმინე, რომ სფფ-ის პრეზიდენტად ლევან კობიაშვილის ხილვა სურთ. კობიაშვილი კარგი მოთამაშე იყო და ღირსეული პიროვნებაა, მაგრამ ის არც ფეხბურთელი ყოფილა გუცაევზე ძლიერი, არც გამოცდილი ფუნქციონერია და საფეხბურთო მოედნიდან ეგრევე საპრეზიდენტო სავარძელი მთლად ლოგიკურადაც არ მოჩანს... ხოლო რევაზ არველაძემ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში თავისი შესაძლებლობები ვგონებ ამოწურა.

კომენტარი პირველი: – კი, მაგრამ ეგრე ზოგადად ყველა საუბრობს, ბავშვთა ფეხბურთს რომ მიხედვა უნდა, ინვესტიციები რომ არის მოსაზიდი, ინფრასტრუქტურა გასამართი და გადასახადები შესამცირებელი – ეგ ხომ მე და თქვენც ვიცით და რათ უნდა მაგას გუცაევის თქმა, მაგან ის თქვას როგორ აპირებს ამის გაკეთებას თორემ გასაკეთებელი რომაა აგერ სიჭინავამაც კი იცის, მაგრამ ვერ აკეთებს, იმიტომ რომ არ იცის როგორ გააკეთოს...

ჟურნალი კომენტატორი: – თქვენ ვინ მიგაჩნიათ მისაღებ კანდიდატად და რატომ?

კომენტარი მეორე: – მე პირადად ვოვას იმიტომ ვუჭერ მხარს, რომ მას აღარ უნდა ფეხბურთი და პოლიტიკა ერთმანეთთან ასოცირდებოდეს.

კომენტარი პირველი: – სამწუხაროდ ჯერჯერობით ვერ ვხედავ ისეთ კანდიდატს, ვისაც ფეხბურთის განვითარების მიმართულებით ექნება წარმოდგენილი სრული კონცეფცია. რა პრობლემებია

ეგ არ არის მთავარი, ეგ ყველამ იცის, პრობლემები როგორ უნდა გადაიჭრას მაგის ცოდნაა მთავარი, რაც ბოლო პერიოდის ვერც ერთ სავარაუდო კანდიდატს ვერ შევატყვე. დიდი ფეხბურთელობა არანაირი წინაპირობა არ არის იმისა, რომ კარგი მენეჯერი იყო.

ჟურნალი კომენტატორი: – მართალი ხართ - ის ფეხბურთის და პოლიტიკის გამიჯვნას ემხრობა. მან როგორც მოთამაშემ, ხოლო შემდეგ როგორც მწვრთნელმა დაამტკიცა, რომ ფეხბურთში წარმატების მიღწევა შეუძლია. მან ფეხბურთი პატარა ნოდარ ახალკაცისგან და ზვიად სიჭინავასგან განსხვავებით, შიგნიდან იცის, საფეხბურთო ნიუანსებში დეტალურად ერკვევა და ყველაზე უკეთ მოეხსენება სპორტის ნომერ პირველი სახეობისათვის რა არის და რატომ არის საჭირო...

კომენტარი პირველი: – ფეხბურთის შიგნიდან ცოდნა რას ნიშნავს? კარგი ფეხბურთელი რომ იყო? კარგი ტექნიკა რომ ჰქონდა? მწვრთნელის დავალებებს რომ კარგად ითვისებდა? თვითონაც რომ ასე თუ ისე ნორმალური მწვრთნელი დადგა? ბევრ ფეხბურთელს და მწვრთნელს რომ იცნობს საფეხბურთო სამყაროში? მაპატიეთ მაგრამ ეს წარსული დამსახურებები, კარგი კაცობა და ნაცნობობა საერთოდ არავითარ კავშირში არ არის სპორტული მენეჯმენტის ცოდნასთან. ამას სხვანაირი უნარები სჭირდება და მე მხოლოდ გუცაევზე არ ვსაუბრობ, ეს ეხება ყველას ვისაც პრეტენზია აქვს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობაზე. ჩემთვის ის კი არ არის მთავარი, როგორ ატყუებდა მეტოქეებს, როგორ იკიდებდა პენალტებს... ჩემთვის მთავარია პასუხი გასცეს შემდეგ კითხვებს: როგორ სახავს საკლუბო ფეხბურთის განვითარების გეგმას? ბავშვთა ფეხბურთი საკლუბო სისტემაში უნდა განვითარდეს თუ დამოუკიდებლად და რატომ? როგორ უნდა მოხდეს გაყიდული ფეხბურთელებიდან შემოსული თანხა კლუბების სალაროში და არა აგენტების და სკოლების დირექტორების ჯიბეებში? რა ტიპის საგადასახადო ცვლილებების ინიცირებას გეგმავს, რომ კლუბებს შეღავათები დაუწესდეთ? როგორ აპირებს ინვესტიციების მოზიდვას? როგორ აპირებს ფეხბურთელების გადინების შეჩერებას რუსეთ-უკრაინასა და სხვა არასაფეხბურთო ქვეყნებში? და ა.შ და ა.შ... უამრავი კითხვაა კიდევ, გასცეს პასუხი, ხოლო თუ პასუხები ამომწურავად და დამაკმაყოფილებლად ჩაითვლება კი ბატონო, არჩეული იქნას პრეზიდენტად. აბა, ისე მე 30 წლის წინ მნიშვნელოვანი გოლი გავიტანეო, გაზაევს და კიდევ ვიღაც-ვიღაცეებს ვიცნობო და ამიტომ ამირჩიეთ პრეზიდენტადო ეგრე სად არის...

ჟურნალი კომენტატორი: – მხოლოდ ბანალური საარჩევნო პროგრამები მთავარი არ არის. დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში, რომელ და რა ასპექტში გამართლებულა შეთითხნილი საარჩევნო პროგრამები? ეს კაცი იძახის, რომ შეძლებს ფულის ჩადებას, რაც საწინდარი გახდება ქართული ფეხბურთის განვითარებისთვის.

გთავაზობთ **გუცაევის** სიტყვებს: „გადაწყვეტილი მაქვს, ვიბრძოლო ქართული ფეხბურთის უკეთესი მომავლისთვის. ცუდი ისაა, რომ უკვე მომდის სიგნალები – ამას იმის გასვლა აწყობს, იმას - ამისი და ასე შემდეგ...

ვოვა გუცაევს, მგონი, ერთი აგური მაინც დაუდია ქართული ფეხბურთის საკეთილდღეოდ და მინდა ყველას ვთხოვო მთავრობაში – ნუ ჩაერევიან ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნებში. 10 წელია, დანიშნული პრეზიდენტები გვყავს. რა მოგვიტანა ამან, ყველა ვხედავთ. მხოლოდ ის გავიხსენოთ, რამდენი სტადიონი წაართვეს ქართულ ფეხბურთს. ბავშვებს აღარ შერჩათ მინდორი, ფეხბურთი რომ ითამაშონ.

მე არ დავბადებულვარ პრეზიდენტად. ეს იმიტომ მინდა, რომ ქართული ფეხბურთისთვის რაღაც გავაკეთო. თუ ვერ გავიმარჯვებ, გავჩუმდები, ოღონდ, იყოს სუფთა არჩევნები და გაიმარჯვოს იმან, ვისაც მისცემს ხმას ქართული ფეხბურთის თემი.

– ყველა ლაპარაკობს ამ საარჩევნო პროგრამებზე და მე არც ერთი თვალით არ მინახავს, მგონი - არც საფეხბურთო საზოგადოებას. ჩაიდოს თანხა ფეხბურთში და მიეხედოს მის ყველა სეგმენტს - ესაა ჩემი პროგრამა. ცალკე ვერც ბავშვთა ფეხბურთი განვითარდება, ვერც ჩემპიონატი და ვერც საქართველოს ნაკრებს ექნება პროგრესი".

კომენტარი პირველი: – ეს ბოლო აბზაცი გუცაევმა თქვა? მერე, რომ იძახის სხვების პროგრამები თვალით არ მინახავსო, თვითონ დაწეროს პროგრამა და მოუსმენს, განიხილავს ხალხი – თუ საინტერესო იქნება მხარსაც დაუჭერენ. რადგან სხვებს არა აქვთ, მისთვისაც კი არ აუკრძალავთ.

ჟურნალი კომენტატორი: – არჩევნებამდე ჯერ კიდევ არის საკმარისი დრო დარჩენილი და საარჩევნო პროგრამას ყველა წარადგენს, მათ შორის ვლადიმერ გუცაევიც და დეტალურად შეგვეძლება გავეცნოთ, შემდეგ კი გავაანალიზოდ თუ რომელი პროგრამა იქნება საუკეთესო საუკეთესოთა შორის!..

P.S. ლამაზად დაწერილ პროგრამაზე მთავარი კი მაინც საქმეა! საქმე რომელიც მაღალ დონეზე უნდა გაკეთდეს!..

კომენტარი პირველი: – სილამაზეს არავინ არ სთხოვს, უბრალოდ ყველა კანდიდატს უნდა ჰქონდეს წარმოდგენილი ყველა პრობლემატური საკითხის გადაწყვეტის დეტალური გეგმები და არა უბრალოდ ამ პრობლემების ჩამონათვალი, რაც ისედაც ყველამ ვიცით... შემდეგ უნდა მოხდეს თითოეული ამ კონცეფციის განხილვა, შემდეგ კი ყველაზე მისაღების და რეალისტურის ავტორი უნდა იქნეს არჩეული პრეზიდენტად... მაგრამ ვიმეორებ უნდა იყოს აზრიანი და შეესაბამებოდეს მოთხოვნებს, თორემ აგერ ყაველაშვილი ათი წელი ლაპარაკობდა ასე ზოგადად, არანაირი პროგრამა არ ჰქონდა, ბოლოს როგორც იქნა წარმოადგინა რაღაც პროგრამის მსგავსი და ისეთი აბსურდი იყო – მაგას ჯობდა საერთოდ არაფერი დაეწერა...

ჟურნალი კომენტატორი: – ათი წელი ზოგადად ლაპარაკი არ გამოვა, რამეთუ არჩევნების ჩატარებამდე არც ისე ბევრი დრო დარჩა და პროგრამის წარდგენა ყველა კანდიდატს მოუწევს. დანარჩენს, უფრო დეტალურად, საარჩევნო პროგრამის გამოქვეყნების შემდეგ შევიტყობთ.

ტარიელ კინწურაშვილი

საფეხბურთო ბიბლიოთეკა

ფეხბურთის რაინდი

გთავაზობთ ნაწყვეტს ცნობილი ქართველი სპორტული ჟურნალისტის შალვა ქირიას წიგნიდან – „ფეხბურთის სტრატეგი“. მისი ეს ნაშრომი, სამოციანი წლების თბილისის „დინამოს“ ცნობილი ცენტრალური თავდამსხმელის, ვლადიმერ ბარქაიას სპორტულ ცხოვრებასა და შესანიშნავ თამაშს ეხება.

ზღვიდან მონაბერი ნიავი აკვანივით არწევდა ცაში აზიდულ კვიპაროსების ქოჩრებს. ზღვისპირა პარკში, სადაც ქოლგებს შლიდნენ მაგნოლიები, 10-12 წლის ბიჭუნები გაოფლიანებულნი დასდევდნენ რეზინის მწვანე ბურთს. ენით აუწერელი ღრიანცელი იდგა. თანატოლთა შორის ერთი ჭროღათვალება, წაბლისფერთმიანი ბიჭი გამოირჩეოდა, რომლის ყოველი მოძრაობა, მიუხედავად ასაკისა, საკმაოდ გააზრებული და რაც მთავარია, დახვეწილი გახლდათ. გამოუცდელი თვალიც კი ადვილად შეამჩნევდა, რომ რეზინის ბურთი, თანატოლებთან შედარებით, გაგრელ მოსწავლეს უფრო ემორჩილებოდა. ვლადიმერ ბარქაიას, ისევე როგორც თითოეულ ჩვენთაგანს, ჭაბუკობიდანვე იტაცებდა ფეხბურთის თამაში, რომლის მთავარ კომპონენტად მას შეტევა, მეტოქეთა კარში ბურთის გატანა მიაჩნდა, რაც თანაგუნდელთა უსაზღვრო სიხარულს იწვევდა. როცა პატარებმა ფეხბურთის თამაშით გული იჯერეს, მშვიდად მოლივლივე ზღვას მიაშურეს. შემდეგ იქვე პლაჟზე ზღვის მიერ ნაპირზე გამორიყულ მორზე ჩამოსხდნენ და კამათი გააჩაღეს.

1949 წლის გვიანი გაზაფხული მოსძალებოდა ჩვენი კურორტების თვალმარგალიტს გაგრას. ხეხილის ბაღში ყვავილობა დაემთავრებინა ნუშს, ვაშლს, ატამს. „ცრემლი სდიოდა“ იზაბელას. ბიჭების ერთი ჯგუფი მაღალ მესერზე ჩამომჯდარიყო და მოუთმენლად ელოდა თბილისის „დინამოსა“ და მოსკოვის ცდკას ამხანაგური მატჩის დაწყებას. მალე მწვანე მინდორზე ტყავის ბურთის დიდოსტატები გამოჩნდნენ, სტადიონი ტაშისცემით შეეგება მოახლოებული მატჩის მოასპარეზეებს.

– აგერ გაგუა, მარღანია, ბობროვი, გრინინი, ნიკოლაევი, – ამბობს კარტუზიანი ბიჭუნა. სულ მალე თამაშიც დაიწყო. შენდისფერი ტყავის ბურთი ხან ერთი, ხან მეორე კარის წინ ჩაიქროლებდა. შეხვედრა მართლაც საინტერესოდ წარიმართა. სეზონის წინა საკონტროლო მატჩს ტყუილად არ ცაუვლია ჩვენი ნაცნობი ბიჭებისათვის. მეორე დღეს პატარები უკვე საკუთარ სტადიონზე – ზღვისპირა პარკში ამუშავებდნენ წინა დღით ნანახ ცრუ მოძრაობებს, კარში დარტყმებსა და სხვა საფეხბურთო ნიუანსებს. ასე თანდათან იხვეწბოდა გაგრის, ლესელიძის, სოხუმის, გუდაუთის, ბათუმისა და სავი ზღვის სხვა საკურორტო ქალაქების ტერიტორიაზე მცხოვრები ბიჭების ოსტატობა, თანდათანობით ყალიბდებოდა, სრულყოფილი ხდებოდა მათი ტექნიკაც. ამ საქმეში განსაკუთრებულ როლს ასრულებდნენ რესპუბლიკის ბეჭდვითი სიტყვის ორგანოები , რომლის ფურცლებზე სისტემატურად იბეჭდებოდა შავი ზღვისპირა ქალაქებში საფეხბურთო ბატალიათა შესახებ. გაზეთები გამუდმებით საქმის კურსში იყვნენ. იბეჭდებოდა საკონტროლო ამხანაგური შეხვედრების საკმაოდ ვრცელი რეცენზიები, რომელთაც უხვი ფოტომასალა ახლდა. ქვეყნდებოდა ლენინგრადის (სანქტ პეტერბურგი) „ზენიტის“, მოსკოვის „დინამოს“, ცდკს, თბილისის „დინამოს“, მოსკოვის „სპარტაკისა“ და „ა“ კლასის უმაღლესი ლიგის ცნობილ ფეხბურთელთა პორტრეტები. როგორც ვხედავთ, ჩვენი ქვეყნის ჩემპიონატს წინ უძღოდა ჟურნალისტების მიერ მონათლული – „საფეხბურთო გაზაფხული“.მის მოსვლას ყველაზე ადრე შავიზღვისპირა ქალაქებში მცხოვრები ფეხბურთის თამაშით გატაცებული ბიჭები იგებდნენ.ისინი არც ერთ საკონტროლო მატჩს არ აცდენდნენ. თითოეულ მათგანს საკუთარი კერპი გააჩნდა.ნორჩები დიდი სიყვარულით ინახავდნენ ჟურნალ-გაზეთებიდან ამოჭრილ პორტრეტებს, საინტერესო შეხვედრათა მომენტებს, აგროვებდნენ ცალკეულ ასპარეზობათა პროგრამებს და სხვა. მათ შორის იყო ჩვენი ნაცნობი ვლადიმერ ბარქაიაც, რომელიც იმთავითვე აღტაცებაში მოჰყავდა თბილისის „დინამოს“ ლეგენდარული ფეხბურთელის ავთანდილ ღოღობერიძის თამაშს. გაგრელ ბიჭუნას მისი ფოტო საწოლთან, ჩარჩოში ჰქონდა მოთავსებული.

აბა რას წარმოიდგენდა ვლადიმერი, თუ რამდენიმე წლის შემდეგ მას შესაძლებლობა მიეცემოდა თავისი კერპის მხარდამხარ ეთამაშა? მაგრამ მოდით, ნუ ავჩქარდებით. მე იმის თქმა მსურს, რომ „საფეხბურთო უნივერსიტეტის“ პირველმა გაკვეთილებმა გაგრელი ჭაბუკის სათამაშო გემოვნების განვითარების

ბარქაია ედუარდ მუდრიკის წინააღმდეგ

საქმეში დიდი როლი შეასრულა.

1953 წელს ვ. ბარქაია გაგრის სპორტულ სკოლაში ჩარიცხეს, ხოლო მცირე ხნის შემდეგ ნიჭიერი მონაცემების მქონე ჭაბუკი აფხაზეთის ნაკრებში სათამაშოდ მიიწვიეს. როგორც მოვლენათა მსვლელობა დაგვანახებს, აფხაზეთის ნაკრების უფროს მწვრთნელს ვ. გვასალიას საკმაოდ კარგი უნარი ჰქონია პერსპექტიული მონაცემების მქონე ფეხბურთელთა აღმოჩენის საქმეში. უკვე მომავალ წელს ვ. ბარქაია გაგრის „ბურევესტნიკის“ სპორტულ ღირსებას იცავს. იგი ტოლს არ უდებს მასზე გაცილებით უფროს თანაგუნდელებს. ვლადიმერი თამაშობდა დიდი ყურადღებით, ცდილობდა არ დაეკარგა ბურთი, მწვრთნელის მოწონება და პატივისცემა დაემსახურებინა. გაგრის „ბურევესტნიკმა“ ჩინებულად იასპარეზა აფხაზეთის პირველობაზე და ავტონომიური რესპუბლიკის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდის სახელი მოიპოვა. ხოლო სულ მცირე პერიოდში აღნიშნული კოლექტივი აფხაზეთის გარდამავალ თასს დაეპატრონა. დრო შეუმჩნევლად გადიოდა. რაც უფრო ხშირად იმართებოდა აფხაზეთის ჩემპიონატის მატჩები, მით უფრო წარმატებას აღწევდა გაგრის „ბურევესტნიკი,“ რომელმაც ჩემპიონის ტიტულიც დაიმსახურა...

50-წლების ნახევარში ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში შეიქმნა ახალგაზრდა ფეხბურთელთა სპორტული სკოლები, რომლებშიც თავს იყრიდნენ პერსპექტიული ჭაბუკები. ასეთი სკოლა გაგრაშიც გაიხსნა და მისი „ მსმენელი“ ვ.ბარქაიაც გახდა. მალე საკავშირო ფეხბურთის ფედერაციამ გამართა ამ სკოლების ჩემპიონატი, რომლის მიზანიც იყო ნიჭიერი სპორტსმენების გამოვლინება. აღნიშნულ ჩემპიონატებში სხვადასხვა რესპუბლიკის ნაკრები გუნდები მონაწილეობდნენ. 1956 წელს სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ანდრო ჟორდანიამ შეადგინა საქართველოს ნაკრები, რომლის შემადგენლობაში ბარქაიას გარდა, ანზორ კვაჭაძე, რობერტ ჭანჭალეიშვილი, ზურაბ სოტკილავა, გარი სორდია და სხვა ცნობილი ახალგაზრდა ფეხბურთელებიც გამოდიოდნენ. უნდა ითქვას, რომ ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილებმა ჩინებულად წარმართეს აღნიშნული საკავშირო ჩემპიონატი და ოქროს მედლებით მკერდდამშვენებულნი დაბრუნდნენ სამშობლოში. ეს იყო პირველი სერიოზული გამარჯვება, რომლის მთავარი მესაჭეც ქართული „ფეხბურთის პატრიარქი“ ა. ჟორდანია გახლდათ. ასე იხვეწებოდა ტყავის ბურთის ჭეშმარიტი ოსტატის საფეხბურთო ოსტატობა. გაგრელი ჭაბუკის მონდომება და მდიდარი სათამაშო ფანტაზია შეუმჩნეველი არ დარჩენიათ ქართული ფეხბურთის ფლაგმანის – თბილისის „დინამოს“ მწვრთნელებს და როცა 1956 წლის შემოდგომაზე ჩვენს დედაქალაქში პერსპექტიულ მოთამაშეთა ტურნირი დამთავრდა, თბილისის „დინამოს“ შემადგენლობაში გუნდის უფროსმა მწვრთნელმა გაიოზ ჯეჯელავამ სხვებთან ერთად ვლადიმერ ბარქაიაც მიიწვია. ყოველივე ეს მას შემდეგ მოხდა, რაც საქართველოს პერსპექტიულმა ფეხბურთელებმა „ გამოცდა ჩააბარეს“ თბილისის „დინამოს“. ამ ორი კოლექტივის საკონტროლო მატჩს საკმაოდ მრავალი მაყურებელი ჰყავდა. იგი ფეხბურთის ცნობილ სპეციალისტთა განსაკუთრებული ყურადღებითაც სარგებლობდა. შემდეგ თბილისის „დინამომ“ საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა გამართა ირანის ნაკრებთან, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 19 წლის ვ.ბარქაიამ. გვიან შემოდგომაზე თბილისში მოსკოვის „ტორპედო“ ჩამოვიდა, რომელმაც ამხანაგური მატჩი გამართა ადგილობრივ „დინამოსთან“. ვ.ბარქაია გამოცდილი ოსტატების გვერდით თამაშობდა და საკმაოდ კარგადაც. პირველი გატანილი გოლით გამოწვეული სიხარული მან სწორედ ამ შემთხვევაში განიცადა, როდესაც სპორტის დამსახურებული ოსტატის ანდრო ზაზროევის ბრწყინვალე გადაცემის შემდეგ ახალბედა ფეხბურთელმა ბურთი ტორპედოელთა კარში მოათავსა. ასრულდა ვ.ბარქაიას ჭაბუკური ოცნება. იგი თბილისის „დინამოს“ სახელმოხვეჭილი გუნდის სრულუფლებიანი წევრი გახდა. გაგრელი ახალგაზრდა უკვე თავისი კერპის ა.ღოღობერიძის მხარდამხარ ითამაშებდა.

სიმა ლევ იაშინის კარს იპყრობს

– მე ყოველთვის მაკვირვებდა სიცოცხლეშივე ლეგენდად ქცეული ა.ღოღობერიძის ზღაპრული თამაში. მისი უზადო ტექნიკა, ბურთის ფლობის შეუდარებელი მანერა. ბასა მართლაც ფეხბურთისათვის იყო დაბადებული. როცა1965 წლის 4 ივლისს მოსკოვში ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე ჯადოქრების - პელე - გარინჩას წინააღმდეგ მომიხდა თამაში, გავიფიქრე, რომ ჩვენი გუნდის „ რკინის კაპიტანი“ ა. ღოღობერიძე ტოლს არ დაუდებდა სახელმოხვეჭილ მსოფლიოს ორგზის ჩემპიონებს, შესაძლოა ბურთის დატყვევების ზოგიერთ მომენტში კიდევაც გაეკვირვებინა მას „ლუჟნიკის“ სტუმრები, - ღიმილით იგონებს ვ. ბარქაია.

ახლოვდებოდა 1957 წლის საფეხბურთო ჩემპიონატი, თბილისის „დინამო“შავიზღვისპირა კურორტ დაბა ლესელიძეში გამგზავრების ნაცვლად ბირმასა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას ეწვია,სადაც რამდენიმე საერთაშორისო ამხანაგური მატჩი გამართა ბირმის ნაკრებთან. გამარჯვების შემდეგ, მოედანზე გადმოვიდა ამ ქვეყნის პრემიერ - მინისტრი უ. - ნუ, რომელმაც აღტაცება გამოთქვა სტუმრების გააზრებული, ტემპერამენტიანი თამაშის გამო და ხელი ჩამოართვა თითოეულ მათგანს. როგორც ვნახეთ, ვ.ბარქაიას დებიუტმა საკმაოდ კარგად ჩაიარა. მოვიდა გამოცდილება, საკუთარი

გაგრძელება გვ.16

მსოფლიოს ფეხბურთის ვარსკვლავები

მარიო კემპესი და ვლადიმერ გუტაევი

რამაზ შენგელია ბრაზილიელებს უტევს, 1982 წ.

გარინჩა და მიხეილ მესხი



ფრანც ბეკენბაუერი და სლავა მეტრეველი

ალექსანდრე ჩივაძე, ეუსებიო და ბობი ჩარლტონი

პელე და გიორგი სიჭინავა

ექსტაზი

ფეხბურთის რაინდი

მეცამეტე გვერდიდან

ძალების რწმენა. ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ ეს ის პერიოდი გახლდათ, როცა თბილისის „ დინამო“ თაობათა ცვლას განიცდიდა, გუნდში მოვიდნენ და მტკიცედ დაიმკვიდრეს ადგილი უდავოდ ნიჭიერმა ახალგაზრდებმა: ს. კოტრიკაძემ, გ. ჩოხელმა, ვ. რამიშვილმა, მ.მესხმა, ვ. ბარქაიამ, ა. კავაზაშვილმა და სხვებმა.

თითოეული ჩვენგანი ინდივიდუალური ბუნებითა და ხასიათის თავისებურებით გამოვირჩევით. გამოთქმაც არსებობს, კალკის ხუნდით ერთგვარად შებორკილი -„ ნაცრისფერ მასაში არ ითქვიფებაო!“

როცა ვლადიმერ ბარქაიაზე ვფიქრობ, მისი „საფირმო“ ნიშანი უთუოდ ორიგინალური საფეხბურთო ხელწერა და თავისებური ადამიანური სამყარო იყო. მის თამაშს გულშემატკივართა წრეგადასული აღტაცება და აღტკინება არ სდევდა: ქომაგიც თავისებური ჰყავდა - უხმაურო, ინტელექტუალური, თუ შეიძლება ასე ითქვას, საფეხბურთო გურმანი. საგანგებოდ არასოდეს უცდია ვინმეს ყურადღების მიქცევა, თავჩაქინდრული, მხრებაწურული გამოდიოდა მინდორზე და ასევე ტოვებდა მოედანს, თუგინდ ულამაზესი გოლიც გაეტანა და თამაშის ბედი გადაეწყვიტა. იშვიათად უნახავთ გულშემატკივრებს კარის აღების შემდეგ სიხარულით გონებაარეული, მოედნის გარშემო მრბოლი ვლადიმერ ბარქაია. ასეთი შემთხვევა, ვგონებ, არც ყოფილა.

ვლადიმერ ბარქაიას გამოჩენას თბილისის „დინამოში“ არავითარი სენსაცია არ გამოუწვევია. ფეხბურთის საკმაოდ სტაჟიანი გულშემატკივრები დამეთანხმებიან, რომ მისი პირველი ნაბიჯები დიდ კოლექტივში არ ყოფილა დაკავშირებული იმ აჟიოტაჟთან, რომელსაც გუნდში ნიჭიერი ჭაბუკის გამოჩენა იწვევს ხოლმე. ესეც მისი სტილი იყო: მაქსიმალური სისადავე, სენსაციურობის სრული უგულებელყოფა, კოლექტივთან შერწყმის სურვილი. სწორედ სისადავე იყო მისი თამაშის სტილის უპირველესი ნიშანი. ოღონდ საკითხავია, როგორი სისადავისა? ჩემი აზრით, ჯერ კიდევ სრულიად უცნობი ვლადიმერ ბარქაიას ეს და სხვა ადამიანური თვისებები ჩინებულად აქვს შენიშნული ქართველ მწერალს ლევან ხაინდრავას, ფეხბურთის ჭეშმარიტ ქომაგს. ამიტომ,ზედაპირული, ერთმხრივი რომ არ მოგეჩვენოთ ჩემი შეფასება, მინდა სიტყვა მივცე ჩემს უფროს მეგობარს.

არიან ადამიანები, რომლებიც ახალ განსაკუთრებულ ელფერს სძენენ თავიანთი მოღვაწეობის სფეროს, ახლებურად წარმოგვიჩენენ მას. „ეს მოვლენაა“ - ვამბობთ ჩვენ ამ შემთხვევაში. ასეთი მოვლენა იყო

ფეხბურთში ვლადიმერ ბარქაია.

მახსოვს 1958 წლის საღამო თბილისის „დინამოს“ სტადიონზე. საბჭოთა კავშირის პირველობის მორიგი მატჩი დასასრულს უახლოვდებოდა, ოცი წუთიღა რჩებოდა მის დამთავრებამდე, როცა ტრავმირებული კ. გაგნიძის ნაცვლად მოედანზე შუა ტანის, არცთუ ისე ბრგე, ქერა ჭაბუკი გამოჩნდა. ახალბედას გვარი რადიოთი გამოაცხადეს - ვლადიმერ ბარქაია – და ტრიბუნებსაც გაკვირვების გუგუნმა გადაუარა: „ ვინ არის? თუ გაგიგონიათ მისი სახელი? სად თამაშობდა?“

არავინ იცოდა პასუხი ამ კითხვაზე, მინდორზე ახალგამოსული ჭაბუკი კი, როგორც დებიუტანტს შეეფერება, მორიდებით იქცეოდა, თამაშს თავის თავზე არ იღებდა, ასისტენტობას სჯერდებოდა, მაგრამ ამას ისე აკეთებდა, რომ ნაცადი გულშემატკივრებისათვის ცხადი იყო – ეს ახალბედა არ გაიელვებს და არ გაქრება, როგორც ხშირად ხდება ხოლმე ფეხბურთში, არამედ მტკიცედ და დიდი ხნით დამკვიდრდება ძირითად შემადგენლობაში.

უკვე იმ პირველ ოც წუთში გამოვლინდა თბილისის „დინამოს“, შემდგომში სახელგანთქმული, თავდამსხმელის მთავარი თვისება – თამაშის ღრმა გაგება, გადაცემის უნიკალური სიზუსტე. ასე გამოჩნდა ჩვენი საყვარელი გუნდის რიგებში ახალი ტალანტი, რომელმაც ამ ლამაზ, ათლეტურ თამაშს მკაფიოდ გამოხატული ინტელექტუალური საწყისი შესძინა. მას ფაქიზი, დახვეწილი, ნატიფი, გავბედავ და ვიტყვი – არისტოკრატული ტალანტი ჰქონდა და მისი ღირსეული შეფასებაც შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სერიოზულად გესმის ფეხბურთი და დიდ პატივს სცემ მას, როგორც მამაცი, თავის საქმეში დაოსტატებული ხალხის კეთილშობილურ ასპარეზობას, რომლებიც არ ეძებენ არც იაფფასიან წარმატებას, არც დაუმსახურებელ, ეფექტურ, მაგრამ უსარგებლო ილეთის მეშვეობით მოხვეჭილ ტაშისცემას, ოვაციას.

ყოველი გამოჩენილი ოსტატის – იქნება იგი ლიტერატორი თუ სპორტსმენი – ჭეშმარიტი საწყაოა გარეგნული სისადავე, რითაც როგორც შორიდან გეჩვენება, იგი შედეგს აღწევს. კითხულობთ დიდი პოეტის ლექსებს და ფიქრობთ, რა თქმა უნდა, მეც ასე ვიტყოდი, აბა სხვანაირად ამის თქმა როგორ შეიძლებაო.უყურებ დიდი სპორტსმენის თამაშს და გუნებაში გაივლებ, მოედანზე რომ გამიყვანა, მეც იგივეს გავაკეთებდი, ეს ხომ ასე უბრალო და ლოგიკურიაო.

ღირს კი იმის თქმა, რომ ამგვარი შთაბეჭდილება მოჩვენებითია, რომ ამ სისადავის მიღმა, უდიდესი ნიჭიც იმალება?

სწორედ ასეთი მოჩვენებითი უბრალოებისა და ძალდაუტანებლობის შთაბეჭდილებას ტოვებდა ბარქაიას თამაში. აი, ბურთი მან მიიღო. მეტოქე, რომელსაც მწვრთნელი არიგებს, ბარქაიას თვალი არ მოაშოროო – გვერდით უდგას, არადა ეს მეტოქე, როგორც წესი, უფრო ძლიერი აღნაგობის, სწრაფი, და

არც თუ ისე იშვიათად, სამწუხაროდ საკმაოდ უხეშიც არის. მაგრამ სხეულის სხარტი მოძრაობა, ერთ-ორი გრძელი ნაბიჯი, ნახევარბრუნი და „გუშაგი“ უკვე ზურგს უკან რჩება. ეჭვგარეშეა, რომ ამ დროს ყველა შესაძლო გაგრძელებიდან ბარქაია საუკეთესოს, ყველაზე ეფექტიანს ამოირჩევს. ეს ალბათ უფრო პასი იქნება – ზუსტი, მოსახერხებელი, დროული და, რაც მთავარია, მეტოქისათვის სრულიად მოულოდნელი. ისეთი პასი, მყისვე რომ ქმნის უმძაფრეს სიტუაციას. ხოლო თუ ვითარება მოითხოვს, ბარქაია ბურთს დაიტოვებს, ისევ ისე თვალშეუვლები, მოხდენილი მოძრაობით გაარღვევს დაცვას და თავად დაარტყამს კარში.

ანდა, ისეთ ვარიანტს ამოირჩევს, რომელსაც უმალ ვერც კი მოისაზრებ. მაგრამ დაბეჯითებით შეიძლება ერთი რამის თქმა, ამორჩეული იქნება საუკეთესო გაგრძელება, მაყურებლისთვის ეგებ არცთუ ეფექტური, მაგრამ საერთო საქმისათვის ყველაზე სასარგებლო.

ასე და მხოლოდ ასე უნდა თამაშობდეს კაცი გუნდურ თამაშს. ასე თამაშობდნენ პელე, გარინჩა, ეუსებიო, ბეკენბაუერი, კრუიფი, სუარესი, ახლო წარსულის ექვსი უდიდესი ფეხბურთელი, რომელთა თამაშის ნახვის ბედნიერება თუმც ტელევიზორით, მაგრამ მაინც გვხდა წილად (სამწუხაროდ, დი-სტეფანოს თამაში არ გვინახავს).

ვლადიმერ ბარქაია მარტოოდენ პასით და ვირტუოზული ტექნიკით როდი იყო ძლიერი, რაც უფრო იზრდებოდა მისი ოსტატობა, უფრო ემატებოდა გამოცდილება, ბურთის გატანის უნიკალური გრძნობაც უმუშავდებოდა. არავის შეეძლო ისე დაესაჯა მეტოქე უმცირესი შეცდომისათვის, მინიმალური უგულისყურობისათვის, როგორც მას. შეეძლო არაფრისგან საგოლე სიტუაცია შეექმნა. შემთხვევით როდი იყო, რომ უმაღლესი ლიგის ყველა მწვრთნელი აფრთხილებდა თბილისის დინამოელებთან საასპარეზოდ მიმავალ თავის აღსაზრდელებს. „მთავარია ბარქაიას ნეიტრალიზება, თვალი არ მოაშოროთ“. ვინაიადან სპეციალისტებმა იცოდნენ, რომ თუ ბარქაია ბურთს მიიღებდა საჯარიმო მოედანზე, მოასწრებდა მის დამუშავებას და კარისათვის, თუნდაც წამით, თვალის შევლებას - ეს გოლს უდრიდა!

არ შემიძლია სიამოვნებით არ გავიხსენო ამ შესანიშნავი ოსტატის მიერ გატანილი თუნდაც ორი გოლი. 1964 წელს ცსკასთან თამაშის დროს, ბარქაიამ, რომელიც დაახლოებით იმ ადგილზე იდგა, საიდანაც თერთმეტმეტრიანს ურტყამენ, რბილი გამჭოლი გადაცემა მიიღო მარჯვენა ფლანგიდან – მეტრეველისაგან, ბარქაიას გვერდით სემიგლაზოვი ედგა, ფიზიკურად ძლიერი, ათლეტური სპორტსმენი, ხოლო კარის გზას უღობავდა ცნობილი შესტერნიოვი – მაღალი კლასის ოსტატი.

ვლადიმერ ბარქაია პირველ რიგში მარცხნიდან მეორე

სიომამ ტერფის შიდა შეხებით ბურთი თავზე აიგდო და რამდენჯერმე აკენწლა შუბლით. მე ცსკას კარის უკან ვიჯექი და ვხედავდი მის სახეს: იგი იღიმებოდა. დიახ, ამ დაძაბულ მომენტში იგი იღიმებოდა: მან უკვე იცოდა, რას გააკეთებდა, რით დამთავრდებოდა ეპიზოდი. და აი რა მოხდა: შესტერნიოვს ნერვებმა უმტყუნა და წინ გაიჭრა, ალბათ,იმის იმედით,ოდესმე ხომ მაინც დაუშვებს მიწაზე ბურთს ბარქაიაო! ვეღარც მეკარე ბაუჟას მოუთმინა გულმა და ისიც გამოვარდა კარიდან. ბარქაიამ სწორედ მაშინ გადაუგდო ზუსტი თავური დარტყმით ბურთი თავს ზემოთ შესტერნიოვსა და ბაუჟას პირდაპირ ცარიელ კარში.

ამავე მატჩში მინდა ერთი დაძაბული ეპიზოდიც გავიხსენო: ერთ მომენტში იგი ზურგით იდგა არმიელთა კართან. მას ლანდივით აკვროდა სემიგლაზოვი. მეტოქეთა კარისაკენ ღრმა რეიდი წამოიწყო შოთა იამანიძემ. მან გვერდი აუარა ერთ მცველს, შემდეგ მეორეს. კაპიტანმა ბურთი ბარქაიას გადასცა, მან ხელით რაღაც ანიშნა მეგობარს, თვითონ კი ბურთის კენწვლა გააგრძელა. როცა იამანიძე უბურთოდ შეიჭრა არმიელთა საჯარიმოში, ბარქაიამ თითქოს შენიშნაო კაპიტნის მანევრი და ბურთი უკუდარტყმით გადაიგდო თავზე, რომელიც ბაუასთან პირისპირ დარჩენილ იამანიძის ცხვირწინ დაეშვა. რა თქმა უნდა, იამანიძე მზაკვრული სპექტაკლის ასეთ ფინალს არ მოელოდა, კარში დარტმა დააგვიანა. არმიელები სასწაულად გადაურჩნენ გოლს. სტადიონი ჯერ დუმდა, მერე კი აფეთქდნენ გულშემატკივრები.

მეორე ბურთი, რომლის გახსენებაც მინდა, ფორვარდმა გორკის „ვოლგას“ გაუტანა იმავე სასახელო 1964 წელს. ვოლგისპირელები მაშინ უმაღლეს ლიგაში თამაშობდნენ.

მარჯვენა ცენტრალური თავდამსხმელის პოზიციაზე ბურთით აფშევი მიიწევდა. როცა იგი საჯარიმოს ათიოდე მეტრით მიუახლივდა, მცველი, რომელიც ბარქაიას მეთვალყურეობდა, აფშევს ეცა. ბარქაიამ დაუყოვნებლივ ისარგებლა ამ შემთხვევით და წინ გაიჭრა, კუთხიდან შევარდა ვოლგისპირელთა საჯარიმო მოედანში. აფშევი მანევრს მიუხვდა და მიახლოებული მეტოქის თავს ზემოთ ბურთი ბარქაიას გადაუგდო, მაგრამ მისი მოძრაობის სისწრაფე ვერ გამოზომა და ბურთი მეგობრის ზურგს უკან მოექცა. იგი უნდა გაჩერებულიყო და უკვე მიწაზე დაცემული ბურთის მიღების შემდეგ განეგრძო შეტევა, ანუ ძვირფასი წამები დაეკარგა. მის შესახვედრად კი უკვე მორბოდა „ვოლგის“ სტოპერი. მაშინ ბარქაიამ ისეთი გადაწყვეტილება მიიღო, რომელიც შეიძლებოდა მხოლდ მას მოსვლოდა აზრად (ტექნიკაც ასეთი უნდა ჰკონოდა კაცს): განაგრძო სირბილი, მარჯვენა ფეხის ქუსლით გადმოიგდო თავს ზემოთ უკნიდან ბურთი და შეუჩერებლად, ისე რომ ძირს არ დაუშვია, მოწყვეტილი დარტყმით გაგზავნა იგი შორეულ ცხრიანში. სტადიონმა ამოიგმინა, გორკელთა მეკარეს კი ხელიც არ გაუნძრევია.

გაზვიადებაში ნუ ჩამომართმევთ, თუკი ვიტყვი, რომ ამ ბურთის შეტანა თამამად შეიძლება მსოფლიო ფეხბურთის ისტორიის ოქროს ფონდში.

სპორტული ბედის ნებიერი ბარქაია არასოდეს ყოფილა. იგი ნამდვილი გამთამაშებელი შუამარბი იყო, მაგრამ საფეხბურთო მინდორზე, მაშინ გამოჩნდა, როცა ბრაზილიელთა ბრწყინვალე წარმატების შემდეგ შვეციისა და ჩილეს მსოფლიო ჩემპიონატებში გუნდებმა ტაქტიკა გარდაქმნეს და „ დუბლვეს“ განლაგება შეცვალეს ბრაზილიური სქემით – 4-2-4. ბარქიასაც მოუხდა გარდაქმნა. გუნდის ინტერესებისათვის (იგი ყოველთვის ყველაფერს გუნდის ინტერესებისათვის აკეთებდა) ვლადიმერი ცენტრალური თავდამსხმელი გახდა. ისეთი უნივერსალური, გამოჩენილი მოთამაშის მხარდამხარ, როგორიც მეტრეველი იყო, და აქაც, თუმც ეს აშკარად არ იყო მისი ამპლუა, მან შეძლო თავის ისე გამოვლენა, რომ ფეხბურთის დიდმა სპეციალისტმა, სსრ კავშირის დამსახურებულმა მწვრთნელმა ანდრო ჟორდანიამ თავის მოგონებებში აღნიშნა: ლეგენდარული ბორის პაიჭაძის შემდეგ ქართულ ფეხბურთს ისეთი ცენტრფორვარდი არ ჰყოლია, როგორიც ვლადიმერ ბარქაიაააო.

ბარქაიას კიდევ ერთი თვისება მინდა გავიხსენო. მით უფრო ძვირფასი თვისება, რომ იგი არ გააჩნია ბევრ ჩვენ ახალგაზრდა ფეხბურთელს. საქმე ეხება მის ვაჟკაცობას, სპორტულ თავმოყვარეობას. არასოდეს, არც ერთ უძნელეს სიტუაციაშიც კი ბარქაია სულით არ დაცემულა, იგი ყოველთვის უკანასკნელ წამამდე იბრძოდა და ზოგჯერ მარტო ახერხებდა ბრძოლის ბედის გადაწყვეტას. გავიხსენოთ 1965 წლის წარუმატებელი სეზონი....

არ ვიცი, შევძელი თუ არა ნათელი წარმოდგენა შემექმნა მკითხველისათვის ქართული ფეხბურთის იმ ვარსკვლავზე, რომელმაც 1964 წელს ბრწყინვალე კოჰორტის შემადგენლობაში პირველად მოუპოვა ჩვენს ფეხბურთს საბჭოთა კავშირის ჩემპიონის წოდება, მაგრამ თუ მკითხავენ, მაინც როგორ თამაშობდა ვლადიმერ ბარქაია, ბოლო თაობის რომელ მოთამაშეს შეგვიძლია შევადაროთ იგიო, ვუპასუხებ, რომ მას ჰქონდა მანუჩარ მაჩაიძის ვაჟკაცობა და უტეხი სული, დავით ყიფიანისეული თამაშის ღრმა გაგება, რამაზ შენგელიას გოლის ალღო. ხოლო ტექნიკა? ... ტექნიკა მას საკუთარი, შეუდარებელი, ბარქაიასეული ჰქონდა.

აი ასეთი იყო ვლადიმერ ბარქაია – ფეხბურთის ჭეშმარიტი რაინდი.

ჰორსტ ეკელი: “პლანეტის ჩემპიონობა მთელმა გერმანელმა ერმა მოიპოვა”

60 წლის წინ შვეიცარიის მსოფლიო პირველობაზე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრებმა ფინალში უნგრეთი დაამარცხა და პლანეტის უძლიერესი გუნდის ტიტული მოიპოვა. გერმანელთა იმდროინდელი ნაკრებიდან სადღეისოდ ცოცხლები მხოლოდ ჰორსტ ეკელი და ჰანს შაფერი არიან.

82 წლის ჰორსტ ეკელის სახელი და გვარი, შესაძლოა, ფეხბურთის დღევანდელ გულშემატკივარს ბევრს არაფერს ეუბნებოდეს, მაგრამ თავის დროზე ჰერ ჰორსტი მაღალოსტატური თამაშით გამოირჩეოდა და დასავლეთ გერმანიის ნაკრების ტრიუმფში მნიშვნელოვანი წვლილიც აქვს შეტანილი. ეკელმა შვედეთის 1958 წლის მუნდიალზეც იასპარეზა და თანანაკრებელთან ერთად ნახევარფინალამდე გააღწია. საკლუბო დონეზე ჰორსტ ეკელი „კაიზერსლაუტერნის” ღირსებას იცავდა. ვერცხლისწყალივით მოძრავმა გარემარბმა ამ გუნდის ღირსება 214 მატჩში დაიცვა და 34 გოლიც გაიტანა, 1951 და 1953 წლებში კი ფედერაციული გერმანიის ჩემპიონობა მოიპოვა. საფეხბურთო კარიერის დასრულების შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონმა ბავშვთა გაწვრთნას მიჰყო ხელი, ამჟამად კი პენსიონერი ეკელი მხოლოდ “საფეხბურთო მეთვალყურის” როლს სჯერდება.

– შვეიცარიის 1954 წლის მუნდიალზე გერმანიას ფავორიტად არავინ მიიჩნევდა...

– არათუ ფავორიტად, ტურნირის აუტსაიდერად მოგვიხსენიებდნენ. იმ ფინალს კი მოგვიანებით “ბერნის სასწაული” დაარქვეს.

– 1954 წლის მსოფლიო ჩემპიონატის პერიპეტიებიდან უპირველესად რომელი მოგონება ცოცხლდება თქვენ გონებაში?

– 60 წლის გადასახედიდან ამ თემაზე საუბარი ძნელია. მას შემდეგ რამდენმა წყალმა ჩაიარა... შვეიცარიის მუნდიალზე ჩვენმა კინოდოკუმენტალისტებმა ფილმი დაამონტაჟეს და რამდენჯერაც ეს სურათი ტელევიზიით გადაიცა, იმდენჯერ შინ არ გახლდით... ჩვენი მწვრთნელის ზეპ ჰერბერგერის სადამრიგებლო ალღო





და ფეხბურთელების ფსიქოლოგიური მომზადების უნარი მსურს აღვნიშნო. ყოველი მომდევნო მატჩის დროს ჰერბერგერი ისეთ თავსატეხს უჩენდა მოწინააღმდეგეთა მწვრთნელებს, რომ ისინი სათანადო კონტრზომას მსაჯის საფინალო სასტვენამდე ვერ პოულობდნენ. მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის დაუფლებამ ჩემ ცხოვრებაში არაფერი შეცვალა. როდესაც "კაიზერსლაუტერნში" თამაში დავიწყე, საკუთარ თავს შთავაგონე, ჰორსტ, რასაც არ უნდა მიაღწიო, ცხვირი არ აიბზუო და ყოველთვის ორივე ფეხით მიწაზე მდგომი დარჩი. ამ პრინციპისთვის არასდროს მიღალატია.

– გერმანიის ნაკრების ტრიუმფი უპირველესად რომელმა ფაქტორმა განაპირობა? ყოველ შემთხვევაში, სასტარტო მატჩში უნგრელებთან 3:8-ზე დამარცხებამ ბუნდესნაკრების აქციები მაღლა ნამდვილად არ ასწია...

– ბიჭები ერთ მუშტად შეკრულები რომ არ ვყოფილიყავით, არაფერი გამოგვივიდოდა. მაშინდელ გუნდში ყველანი მეგობრები ვიყავით. ჩვენი თაობის მიდგომაც სრულიად განსხვავებული გახლდათ –ლამის უანგაროდ ვთამაშობდით. 2006 წლის მუნდიალის ფინალში გასვლისთვის გერმანიის ნაკრების მოთამაშეებს პრემიის სახით თითოეულს 250 ათას ევროს დაჰპირდნენ, ჩვენ კი მსოფლიოს ჩემპიონობისთვის შავ-თეთრი ტელევიზორითა და სკუტერით დაგვაჯილდოვეს. თუმცა, ისიც სათქმელია, რომ იმ დროისთვის ეს საგნები ლამის ფუფუნების ნივთებად მიიჩნეოდა.

– თქვენ ზეპ ჰერბერგერის საყვარელ მოთამაშედ ითვლებოდით. მაინც რით დაიმსახურეთ მთავარი მწვრთნელის ესოდენ დიდი სიყვარული და დაფასება?

– არ მეგონა, თუკი ჩემდამი ჰერბერგერის დამოკიდებულება დღეს ვინმეს ახსოვდა. ჩვენმა დამრიგებელმა ზედმიწევნით ზუსტად იცოდა ნებისმიერი ფეხბურთელის შესაძლებლობათა ზღვარი. მტკიცე ნერვული სისტემით გამოვირჩეოდი და ნებისმიერ შეხვედრაში მინდორზე 100 პროცენტით ვიხარჯებოდი. ჩემმა თავდადებამ და მონდომებამ თავის დროზე ბევრი გააოცა ნეიტრალებაზე გავაკეთეთ და მოგება გარკვეულწილად ამითაც გახლდათ განპირობებული.

– ისტორიკოსები სრული სერიოზულობით ამტკიცებენ, რომ გერმანული "ეკონომიკური სასწაულის" ერთ-ერთი ძირითადი განმსაზღვრელი მომენტი ბუნდესნაკრების მიერ 1954 წლის მსოფლიოს ჩემპიონობა გახდა...

– ახალს არაფერს ვიტყვი, თუკი მოგახსენებთ, რომ მსოფლიოს ჩემპიონი არც ფინალში მოთამაშე 11 ფეხბურთელი და არც მსოფლიოს ჩემპიონატის განაცხადში შეყვანილი 22 მოთამაშე იყო –პლანეტის ჩემპიონობა მთელმა გერმანელმა ერმა მოიპოვა.

– ხუთ წელიწადში მესამე ლიგის გუნდის მოთამაშიდან მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის მატარებელ ფეხბურთელამდე შევძელი ნახტომის გაკეთება. სხვათა შორის, ჰერბერგერს უნგრელთა რიგებში უძლიერეს ფეხბურთელად ნანდორ ჰიდეგკუტი მიაჩნდა და არა ფერენც პუშკაში. ფინალშიც ძირითადი აქცენტი ჰიდეგკუტის გა-

გოჩა კაჭარავა

ფეხბურთი მეორე მსოფლიო ომამდე

მ/ჩ ფინალი, კაპიტნები: ურუგვაელი ნაზაცი და არგენტინელი ფერეირა, 1930 წ.

1872 წელს ფეხბურთის ისტორიაში პირველი საერთაშორისო შეხვედრა გლაზგოში, შოტლანდიისა და ინგლისის ეროვნულ ნაკრებებს შორის, გაიმართა და დასრულდა ანგარიშით 0–0, ხოლო პირველი საერთაშორისო ტურნირი 1884 წელს ჩატარდა, – რომელსაც დიდ ბრიტანეთის საშინაო ჩემპიონატი ეწოდა. ფეხბურთი აქტუალური განსაკუთრებით XIX საუკუნის მიწურულს გახდა და სპორტის ეს სახეობა შეტანილ იქნა 1900 და 1904 წლების ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებზე, თუმცა პრიზიორები მედლებით არ დააჯილდოვეს.

1908 წელს ლონდონში გაიმართა მორიგი ოლიმპიური თამაშები. იქ კი ფეხბურთი უკვე ოლიმპიადის ოფიციალურ სახეობად ითვლებოდა. შეჯიბრში მხოლოდ მოყვარული მოთამაშეები მონაწილეობდნენ, აქედან გამომდინარე, მას უფრო შოუს სახე ჰქონდა, ვიდრე ტურნირის. აღნიშნულ თამაშებზე ოქროს მედლები ინგლისის ნაკრებმა მოიპოვა.

1909 წელს ტურინში შოტლანდიელმა ბარონეტმა სერ თომას ლიპტონმა ჩაატარა თავისივე სახელობის თასის გათამაშება, სადაც ეროვნული ნაკრებების მაგივრად, ინდივიდიალური კლუბები მონაწილეობდნენ და თითოეული მათგანი ერთ კონკრეტულ ქვეყანას წარადგენდა. ამ ტურნირს ზოგჯერ მოიხსენიებენ, როგორც მსოფლიოს პირველ ჩემპიონატს. შეჯიბრზე გამოდიოდნენ: იტალიის, გერმანიის, შვეიცარიის პროფესიონალური კლუბები, მაგრამ ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ უარი განაცხადა კლუბების გაგზავნაზე.ამის სანაცვლოდ, ლიპტონმა მიიწვია სამოყვარულო დასავლეთ ოკლენდის გუნდი, დარემის საგრაფოდან. დასავლეთ ოკლენდის გუნდმა მოახერხა ტურნირში გამარჯვება, ორი წლის შემდეგ კი ტიტული დაიცვა.

1914 წელს ფიფა-მ თავის თავზე აიღო ოლიმპიადის საფეხბურთო ტურნირის ჩატარების ორგანიზება. 1920 წლის ოლიმპიურ თამაშებზე გაიმართა ტურნირი ფეხბურთში, რომელიც მსოფლიოს პირველ საერთაშორისო საფეხბურთო შეჯიბრად ითვლება და იგი ბელგიის ნაკრებმა მოიგო.

იტალიის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონობას ზეიმობს, 1938 წ.

ოლიმპიურ თამაშებზე წარმატებული საფეხბურთო ტურნირების გამო ფიფა-ს ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა ჩაეტარებინა საკუთარი საერთაშორისო ჩემპიონატი.1928 წლის 28 მაისს, ამსტერდამში, ფიფა-ს კონგრესმა მიიღო ოფიციალური გადაწყვეტილება მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარების შესახებ. მსოფლიო ჩემპიონატის პირველი გათამაშების მასპინძელ ქვეყნად დასახელდა ურუგვაი.

შერჩეული ქვეყნების ფედერაციებს გაეგზავნათ მოწვევა ნაკრებების გამოგზავნის შესახებ, თუმცა მასპინძელ ქვეყნად ურუგვაის არჩევა ევროპული ქვეყნებისათვის, ატლანტის ოკეანის გავლით, გრძელ და ძვირადღირებულ მგზავრობას მოითხოვდა, ამიტომაც თავდაპირველად არც ერთ ევროპულ ქვეყანას ფიფას მოწვევაზე თანხმობა არ განუცხადებია. საბოლოოდ ურუგვაიში ევროპიდან: ბელგიის, საფრანგეთის, რუმინეთისა და იუგოსლავიის ნაკრებები ჩავიდნენ. ჯამში, ჩემპიონატში ცამეტი ქვეყნის ნაკრები მონაწილეობდა: შვიდი სამხრეთ ამერიკიდან, ოთხი ევროპიდან და ორი ჩრდილოეთ ამერიკიდან.

მსოფლიო ჩემპიონატის პირველი შეხვედრები გაიმართა 1930 წლის 13 ივლისს და დასრულდა საფრანგეთისა და აშშ-ის ნაკრებების გამარჯვებით, რომლებმაც, შესაბამისად, მექსიკა 4:1 და ბელგია 3:0 დაამარცხეს. პირველი გოლი მსოფლიო ჩემპიონატის ისტორიაში გაიტანა ფრანგმა ლუსიენ ლორანმა. ფინალში კი ურუგვაიმ ოთხმოცდაცამეტი ათასი მაყურებლის წინაშე დაამარცხა არგენტინის ნაკრები ანგარიშით 4:2 და გახდა მსოფლიო ჩემპიონატის პირველი გამარჯვებული.

მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატის დაარსების შემდეგ, ზაფხულის 1932 წლის ლოს-ანჯელესის ოლიმპიურ თამაშებზე ფეხბურთი აღარ შეიტანეს. აშშ-ში ფეხბურთი პოპულარობით ვერ სარგებლობდა და ასეთი გადაწყვეტილებაც ამის გამო იქნა მიღებული. ოლიმპიადას სპორტის ნომერ პირველი სახეობა 1936 წელს დაუბრუნდა, მაგრამ ოლიმპიური ფეხბურთი უკვე მსოფლიო ჩემპიონატის ჩრდილში მოექცა.

თავდაპირველად მსოფლიო ჩემპიონატის უპირველეს პრობლემას მგზავრობა წარმოადგენდა. სიტუაცია კიდევ უფრო დაამძიმა ევროპაში დაწყებულმა მეორე მსოფლიო ომმა, რის გამოც გაუქმდა 1942 და 1946 წლების მუნდიალები.

ტრაგედია-1950

ყველა ფეხბურთის მოყვარულმა როდი იცის, რომ მსოფლიოს ფეხბურთის ფავორიტებზე ბრაზილიელთა თავდაპირველი ბრწყინვალე იერიში დაიწყო არა 1958 წელს, შვეიცარიაში, არამედ რვა წლით ადრე – 1950 წელს რიო-დე-ჟანეიროში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე. ნილტონ სანტოსი, ადემირი, ჟაირი, ორლანდო – ფეხბურთის ამ გამოჩენილი ოსტატებით შედგენილი ნაკრები ტურნირის მთავარი ფავორიტი გახდა, რომელმაც გამანადგურებელი ანგარიშით დაამარცხა თავისი მრისხანე მეტოქეები – 7:1 (ესპანეთის ნაკრები), 6:1 (შვეიცის ნაკრები) და ა.შ... ფინალში მისი მეტოქე იყო ურუგვაის ნაკრები, რომელიც არაერთხელ დაუმარცხებიათ თვით ბრაზილიელებსა და მსოფლიო გვირგვინის სხვა პრეტენდენტებსაც.

მატჩის დღეს, 1950 წლის 16 ივლისს, გაზეთმა „ჟორნალ დო ბრაზილმა“ გამოაქვეყნა სარედაქციო კომენტარი „დიადი გამარჯვება“, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამი იყო: „ბრაზილიის ნაკრები, რომელმაც სენსაციურ გამარჯვებებს მიაღწია, დღეს მინდორზე გამოვა როგორც უკვე საქვეყნოდ აღიარებული მსოფლიოს უძლიერესი გუნდი. იმედი გვაქვს, რომ სულ ცოტა ხნის შემდეგ, ორი ორმოცდახუთწუთიანი დიდი შერკინების დამთავრებისას, საბოლოოდ დადასტურდება მისი ბრწყინვალე პრესტიჟი...“

ნუ დავემდურებით გაზეთს ესოდენ აჩქარებული, ნაადრევი დასკვნებისათვის. იმ დღეს მთელი ქვეყანა „დიადი გამარჯვების“ მოლოდინით ცხოვრობდა: გამარჯვებულთათვის წინასწარ გაამზადეს საჩუქრები, დაისტამბა მისალოცი ბარათები და ვიმპელები წარწერით – „ბრაზილია – მსოფლიოს ჩემპიონი“. წინასწარ დაიგეგმა და დაწვრილებით შემუშავდა მთელს ქალაქში საზეიმო სვლის პროცედურა, მთავრობის სასახლეში მიღებისა და თითოეული მოთამაშის ავტომობილით დაჯილდოების ცერემონია. მომავალი ჩემპიონების მწვრთნელს ფლავიო კოსტას კი რიო-დე-ჟანეიროს საკანონმდებლო ასამბლეის დეპუტატის სავარძელი ელოდა...

200 ათასზე მეტი გულშემატკივრის ნაირფერი პლაკატებით მოირთო ტრიბუნები, რომლებიც მოითხოვდნენ არა უბრალო გამარჯვებას, არამედ „გოლეადებს“ ანგარიშით 8:0, 10:0 და უფრო მეტსაც... 2 საათის შემდეგ კი 200 ათასზე მეტი ტორსედორესი ქვითინით ტოვებდა „მარაკანას“, რადგან ურუგვაელებმა ამ მატჩში თავზარდამცემი დამარცხება (2:1) აგემეს ბრაზილიელებს.

1950 წლის „დიდმა ტრაგედიამ“ თვით ბრაზილიელების აზრით, უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშა ამ ერის ახლანდელი „საფეხბურთო ფსიქოლოგიის“ ჩამოყალიბებაში. 1958 და 1962 წლების დიდ გამარჯვებებს სწორედ ივლისის იმ მწუხარე დღეს ჩაეყარა საფუძველი. იმ ავბედით დღეს მთელი ბრაზილია გლოვობდა. ათასობით ავტომანქანა საყვირის გარეშე მიემართებოდა პრეზიდენტ ვარგასის ავენიდზე, რომელიც სამარისებურ სიჩუმეს მოეცვა. ტორსიდა იმ დღეს ინელებდა მწარე სინამდვილეს, რომ არ არსებობს წინასწარ მოგებული მატჩი! რომ ყოველ მოწინააღმდეგეს, როგორი სუსტიც არ უნდა გეჩვენებოდეს იგი, პატივისცემა სჭირდება.

ბრაზილიური ირონია

"პენტაკამპეონების" მიერ მოპოვებული მონაგარი ასეთია: მსოფლიო ჩემპიონატი ხუთჯერ. კონფედერაციის თასი: ოთხჯერ. კოპა ამერიკა: რვაჯერ და ა.შ... სულ ბრაზილია ხომ არ იქნება – ხანდახან სხვებიც უნდა გამოერიონ – თორემ ესე ფეხბურთს აზრი დაეკარგება...

გერმანიის ნაკრები ევროპაში ოფიციალურად ყველაზე ტიტულოვანი გუნდი გახდა - გადაასწრო რა იტალიას. (გერმანია. მსოფლიო ჩემპიონატი: 1954. 1974. 1990 და 2014 წელი. ევროპის ჩემპიონატი:1972.1980 და 1996 წელი) - (იტალია. მსოფლიო ჩემპიონატი: 1934.1938.1982 და 2006 წელი. ევროპის ჩემპიონატი: 1968 წელი.) თუმცა მსოფლიო მასშტაბით, აგვისტოს ცასავით ვარსკვლავებით მოჭედილი ლოგო სულ სხვა გუნდს აქვს!

ბოლო ოცი წელი! გერმანიამ მოიგო ევროპის ჩემპიონატი 1996 წელს და მსოფლიო ჩემპიონატი 2014 წელს. ბრაზილიამ მოიგო მსოფლიო ჩემპიონატი 1994 და 2002 წელს. ბრაზილიამ მოიგო კოპა ამერიკა 1997, 1999, 2004 და 2007 წელს. ბრაზილიამ მოიგო კონფედერაციის თასი 1997, 2005, 2009 და 2013 წელს.

ლუიშ ფელიპე სკოლარი - მსოფლიო ჩემპიონატების ყველა დროის ყველაზე ტიტულოვანი მწვრთნელია, რომელსაც არაერთი რეკორდი აქვს მოხსნილი!!!

1) ის ერთარდერთია, რომელმაც მსოფლიო ჩემპიონატის სამ ნახევარფინალში მიიღო მონაწილეობა.

2) მას მსოფლიო ჩემპიონატებზე ყველაზე მეტი 16 გამარჯვება აქვს მოპოვებული.

3) ის უნიკალური რეკორდის ავტორია, რეკორდის რომელსაც ალბათ ძალიან დიდი ხნის განმავლობაში ვერავინ მოხსნის... სკოლარის მსოფლიო ჩემპიონატებზე ზედიზედ თერთმეტი გამარჯვება აქვს მოპოვებული ძირითად დროში.

4) მისმა გაწვრთნილმა გუნდმა მსოფლიო ჩემპიონატი ისე მოიგო, რომ ყველა თამაშში ძირითად დროში მიაღწია გამარჯვებას – ეს შედეგი მსოფლიო ჩემპიონატებზე საუკეთესოა – ვერავინ ვერ შეძლო ამის გამეორება. დანარჩენს აღარ გავაგრძელებ – სიტყვა გაგრძელდება...

საფეხბურთო სტრატეგიები

მას შემდეგ, რაც ფეხბურთი დაარსდა, ამ თამაშმა მრავალ ასპექტში განიცადა ტრანსფორმირება, მათ შორის ტაქტიკურ სქემებშიც. 1863 წლის 26 ოქტომბერი თანამედროვე ფეხბურთის დაბადების დღედ ითვლება. იმ საუკუნეში, როდესაც ფეხბურთი მოევლინა ქვეყნიერებას, გუნდები განსაკუთრებულ უპირატესობას თავდასხმას ანიჭებდნენ და, ასე განსაჯეთ, რვა თავდამსხმელითაც კი თამაშობდნენ, ხოლო რაც შეეხება დაცვასა და ნახევარდაცვას, საამისოდ თითო-თითო ფეხბურთელი ირჯებოდა. დრო გადიოდა, საფეხბურთო სტრატეგიები იცვლებოდა და ყოველივე ეს თამაშის მიმდინარეობასა და სტილზე ისახებოდა. პირველი ტაქტიკური სქემა, რომელიც მრავალი ხნის განმავლობაში გამოიყენებოდა, მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს, ინგლისში ჩამოყალიბდა და მერე სხვა ქვეყნებშიც გავრცელდა. ამ სქემას პირამიდა ერქვა. ის დაცვასა და შეტევას შორის ბალანსს აყალიბებდა, რაც, ძირითადად, იმაში გამოიხატებოდა, რომ თავდაცვისას მცველები მოწინააღმდეგის ფლანგიდან შემტევების, ხოლო ნახევარმცველები დანარჩენი სამი თავდამსხმელის მოქმედებებს აკონტროლებდნენ.მეოცე საუკუნის ოციან წლებში „არსენალის“ მწვრთნელმა ჰერბერტ ჩეპმენმა ჩამოაყალიბა ტაქტიკური მონახაზი. ეს სქემა რამდენიმენაირად იკითხებოდა: 3-2-5, 3-4-3 და ყველაზე ხშირად 3-2-2-3. ამ განლაგებებში ერთ-ერთი მთავარი როლის შემსრულებელი ცენტრალური ნახევარმცველი იყო – ის გუნდს კრავდა და თავისი მოქმედებებით განაპირობებდა იმას, რომ ფლანგიდან შემტევებსა და თავდამსხმელებს შედეგიანი კონტრშეტევის საშუალება მისცემოდათ. ჩეპმენის შექმნილი სქემა შემდგომაც არაერთხელ გამოუყენებიათ ინგლისურ გუნდებს, მაგრამ მის დარ წარმატებებს ვერც ერთი მწვრთნელი ვერ გაუტოლდა. უდავოდ გამორჩეული ტაქტიკური სქემა იყო 4-2-4. თუნდაც იმიტომ, რომ ის იყო პირველი, რომელიც ციფრებით გამოსახეს – ბოლოს და ბოლოს მსოფლიოს ყველა დროის საუკეთესო გუნდებმა 1958 და 1970 წლის ბრაზილიის ნაკრებებმა ამ სქემით მოიგეს მსოფლიო ჩემპიონატები. განსხვავებით ჩეპმენის ტაქტიკისგან,სადაც მცველებს მეტოქის ნახევარზე გადასვლა ეკრძალებოდათ, 4-2-4 ტაქტიკის შემთხვევაში დამცველებს მეტი თავისუფლება ეძლეოდათ და ისინიც ხშირად ერთვებოდნენ შეტევებში. ეს სქემა დიდ სიფრთხილესაც მოითხოვდა, რადგანაც ნახევარდაცვაში ორი ფეხბურთელის ყოლით გაჩენილი თავისუფალი სივრცეები, მოწინააღმდეგის სწრაფ მოთამაშეებს თავიანთ სასიკეთოდ, რომ არ გამოეყენებინათ. ამიტომ საჭირო იყო, რომ ამ განლაგებით მოასპარეზე გუნდის ფეხბურთელები ფიზიკურად კარგად ყოფილიყვნენ მომზადებულები. რაც შეეხება 4-3-3 სქემას, ის 4-2-4–ის მოდერნიზებული ვარიანტია. ამ სიტუაციაში უფრო მყარი ხდება დაცვა, რადგან თავდასხმას ერთი კაცი აკლდება და მისი ნახევარდაცვაში გადანაცვლებით, შეტევაში დარჩენილ სამ თავდამსხმელსაც უფრო მეტად პროდუქტიული მანევრირებისა და სახიფათოდ მოქმედების საშუალება ეძლევათ, თუმც ეს იმაზეც არის დამოკიდებული, ესა თუ ის გუნდი, როგორ მოერგება ამა თუ იმ სათამაშო სქემას. ბოლო პერიოდში, გუნდების თამაშიდან გამომდინარე, ამ საფეხბურთო სტრატეგიას ყველაზე შთამბეჭდავად და შედეგიანად 1990–იანი წლების ამსტერდამის „აიაქსი“ იყენებდა. აქ, პირველ რიგში, გასათვალისწინებელია მათი თამაშის ხარისხი, ხოლო მაგ გუნდმა როგორ წარმატებებსაც მიაღწია კარგად მოეხსენებათ ფეხბურთის ქომაგებს. ეხლაც მახსოვს იმ დროინდელი „აიაქსის“ ძირითადი შემადგენლობის განლაგება: კარში ედვინ ვან დერ საარი იდგა, მარჯვენა და მარცხენა მცველებად, შესაბამისად მიხაელ რაიციგერი და ფრანკ დე ბური ირჯებოდნენ, დაცვის ცენტრში



გუნდის კაპიტანი დანი ბლინდი და ფრენკ რაიკაარდი იყვნენ გამწესებულნი. ნახევარდაცვის მარცხენა ფლანგზე ზეედორფი ასპარეზობდა, ხოლო მარჯვნივ რონალდ დე ბური. ცენტრალური შემტევი ნახევარმცველი იყო იმ გუნდის ლიდერი ფინელი იარი ლიტმანენი. ცენტრალურ თავდამსხმელად ნიგერიელი ნვანკო კანუ განიხილებოდა, რომელსაც წარმატებით ცვლიდა ხოლმე პატრიკ კლიუვერტი. მარჯვენა გარემარბად ასევე ნიგერიელი ჯორჯ ფინიდი თამაშობდა, მარცხნიდან კი მარკ ოვერმარსი უტევდა. ამ გუნდს სახელოვანი ჰოლანდიელი მწვრთნელი ლუის ვან გაალი წვრთნიდა. როდესაც საფეხბურთო სტრატეგიებზე და, მით უფრო, ამსტერდამის „აიაქსზე“ ვსაუბრობთ, არ შეიძლება არ ვახსენოთ ტოტალური ფეხბურთი, რომელმაც ძირეული ცვლილებები შეიტანა საფეხბურთო სამყაროში. პირველი გუნდი სწორედ „აიაქსი“ იყო, ვინაც ტოტალური ფეხბურთი ითამაშა. ამ გუნდში ეს სათამაშო სტილი ჯეკ რეინოლდსმა დანერგა, ხოლო მის ტაქტიკურ ჩანაფიქრებს მოგვიანებით ფრთები შეასხა ლეგენდარულმა მწვრთნელმა რინუს მიხელსმა. მის ხელში ამსტერდამელებმა 1969-1973 წლებში ზედიზედ სამჯერ მოიგეს ჩემპიონთა თასი. მიხელსის გაწვრთნილმა ჰოლანდიის ნაკრებმა 1974 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე უკვე სანაკრებო დონეზეც დანერგა ტოტალური ფეხბურთი. იმ გუნდის ლიდერი იყო მსოფლიოს ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი იოჰან კრუიფი. ამ ტაქტიკაში მთავარია როტაცია და ერთ დროს მხოლოდ ჰოლანდიელებზე მორგებული ეს სათამაშო სტილი დღესდღეობით ისეა განვითარებული, უკვე საკმაოდ ხშირად გოლები მეკარეებს გააქვთ, არც თუ იშვიათად კი ბურთი კარიდან თავდამსხმელებს გამოაქვთ. და ბოლოს ორიოდ სიტყვა კიდევ ერთ განთქმულ საფეხბურთო ტაქტიკაზე „კატენაჩოზეც“ ვთქვათ: შვეიცარიის ნაკრების მწვრთნელის კარლ რაპანის მიერ შექმნილი სტილი იტალიაში ნერეო როკომ შეიტანა, მოგვიანებით კი რაპანისეული სქემატიკა არგენტინელმა ელენიო ერერამ 1960–იან წლებში მილანის „ინტერში“ დანერგა და დიდ წარმატებებსაც მიაღწია. სათამაშო სტილმა, რომელსაც „კატენაჩო“ ჰქვია იტალიურ ფეხბურთზე დიდი გავლენა იქონია. „კატენაჩოს“ ფილოსოფია მკაცრად დაცვაზე ორიენტირებული თამაშია. ამ საფეხბურთო მიმდინარეობის გამოგონებაა „ლიბერო“ – თავისუფალი მცველი. ლიბეროს მოვალეობაა მოწინააღმდეგის თავდამსხმელების განეიტრალება, საკუთარი მცველების დაზღვევა და საჭიროების შემთხვევაში პერსონალური მეურვეობაც.



დიდი გუნდის დიდი მარცხი

უნგრეთის ნაკრებს მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში ორჯერ აქვს მონაწილეობა მიღებული. პირველად უნგრელები 1938 წელს დიერდ შაროშისა და დიულა ჟენგელერის შესანიშნავი თამაშის წყალობით გავიდნენ ფინალში, სადაც იტალიის ნაკრებთან 2:4-ზე დამარცხდნენ თექვსმეტი წლის შემდეგ უნგრეთის ნაკრებმა, რომელიც ისტორიაში დიდი გუნდის სახელით არის შესული, კვლავ ითამაშა მსოფლიო ჩემპიონატის გადამწყვეტ მატჩში. დიდი გუნდის გამოკვეთილი ლიდერები,ლეგენდარული ფერენც პუშკაში და შანდორ კოჩიში იყვნენ. მათი წინამძღოლობით უნგრეთის ნაკრებმა ჯგუფში სამხრეთ კორეას 9:0, ხოლო დასავლეთ გერმანიას 8:3 მოუგო. შვეიცარიაში გამართულ მსოფლიოს 1954 წლის ჩემპიონატზე ბრაზილიის ნაკრებში გამოჩნდნენ ჯალმა და ნილტონ სანტოსები, ასევე შეუდარებელი დიდი. ეს ფეხბურთელები შემდგომ მუნდიალებზე იმ საუცხოო გუნდების წევრები იყვნენ, რომლებსაც ხალხმა ფეხბურთის ჯადოქრები უწოდა. მეოთხედფინალში ბრაზილიის ნაკრები სწორედ უნგრეთთან დამარცხდა ანგარიშით 2:4. აღნიშნულ ჩემპიონატზე მსოფლიოს მოქმედმა ჩემპიონმა, ურუგვაის ნაკრებმაც შთამბეჭდავად ითამაშა. ჯგუფურ ეტაპზე მათ ჯერ ჩეხოსლოვაკია დაამარცხეს 2:0, შემდეგ კი შოტლანდიას გადაურბინეს და შვიდი უპასუხო გოლი გაუტანეს. მეოთხედფინალში ურუგვაელებმა ინგლისის ნაკრებს სძლიეს ანგარიშით 4:2. ურუგვაელთა რიგებში თითქმის ყველა ის წამყვანი მოთამაშეები იყვნენ, რომლებმაც ბრაზილიაში 1950 წელს სენსაციურად მოიგეს მუნდიალი. მსოფლიოს 1954 წლის ჩემპონატის ნახევარფინალში ერთმანეთს უნგრეთი და ურუგვაი შეხვდა. მძაფრ ორთაბრძოლაში უნგრეთის ძლიერმა გუნდმა მოქმედ ჩემპიონს, ურუგვაის ნაკრებს 4:2 მოუგო და ფინალში გავიდა. ფინალში უნგრეთის ნაკრებს დასავლეთ გერმანიის ნაკრები შეხვდა. უნგრელები და გერმანელები ჯგუფურ ეტაპზეც ეთამაშნენ ერთმანეთს. როგორც მოგახსენეთ, იმ მატჩში თერთმეტი გოლი გავიდა და აქედან რვა ბურთი გერმანელთა მეკარის ჰაინც კვიატოვსკის კარის ბადეში მოთავსდა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ გერმანელთა მთავარმა მწვრთნელმა ზეპ ჰერბერგერმა იმ მატჩში, ერთბაშად, ხუთი ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელი არ ათამაშა. ფინალში კი სრულიად ოპტიმალური შემადგენლობით წარდგა მეტოქის წინაშე, მაგრამ უნგრეთი პუშკაშისა და ციბორის გოლებით მალე დაწინაურდა და მერვე წუთისთვის ჰერბერგერის გაწვრთნილი გუნდი უკვე 0:2-ზე მარცხდებოდა. გერმანელები მატჩის ასეთ განვითარებას არ შეურიგდნენ, მათთვის დამახასიათებელი შეუპოვარი ხასიათი გამოავლინეს, ბოლომდე იბრძოლეს და საბოლოოდ ანგარიშით 3:2 გაიმარჯვეს. უნგრეთის ნაკრები მეორე ადგილს დასჯერდა, უნგრელი შანდორ კოჩიში კი თერთმეტი გატანილი გოლით ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გახდა. მან ფინალური შეხვედრის გარდა, ყველა მატჩში შეძლო თავის გამოჩენა, ჯგუფურ ეტაპზე კი გერმანიის ფედერაციულ ნაკრებს სულაც ოთხი გოლი გაუტანა.

ჯეფრი ჰერსტი: „1974 და 1978 წლებში ჰოლანდიელები სრულყოფილ ფეხბურთს თამაშობდნენ“

ჯეფრი ჰერსტი ფეხბურთის ისტორიაში გამორჩეული ფიგურაა – იგი ერთადერთია, რომელსაც მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში 3 გოლი აქვს გატანილი. 1966 წლის მუნდიალზე მიღწეული ტრიუმფის გარდა, ჰერსტს 1968 წელს ევროპის პირველობის ბრინჯაოს მედალი აქვს მოპოვებული, 1965-ში კი აღმოსავლეთ ლონდონის "ვესტ ჰემ იუნაიტედთან" ერთად თასების თასს დაეუფლა.



– მსოფლიო ჩემპიონატის თქვენეულ ყველაზე დასამახსოვრებელ შთაბეჭდილებას ხომ ვერ გაგვიზიარებდით?

– შვეიცარიის 1958 წლის მუნდიალზე პელეს თამაშმა მომხიბლა. ბრაზილიელი ჩემზე ერთი წლითაა უფროსი და მას ვქომაგობდი. მაშინ 16 წლისა გახლდით და "ვესტ ჰემში" პირველ ნაბიჯებს ვდგამდი, თანაც თანატოლებს შორის საუკეთესო მოთამაშედ ნამდვილად არ ვითვლებოდი. მოგვიანებით მონდომებამ და შრომამ თავისი გაიტანა. ინგლისის ნაკრებში სერ ალფ რამსეიმ ამიყვანა, დიდი ნდობა გამომიცხადა და მეც მწვრთნელის, პარტნიორთა და გულშემატკივართა იმედი გავამართლე. 1966 წლის მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე ინგლისის ეროვნული გუნდის რიგებში მხოლოდ 5 მატჩი მქონდა ჩატარებული,

მუნდიალის განცხადში შეყვანამ თითქოს ფრთები შემასხა, მთელი ტურნირი აღმაფრენით ჩავატარე, ფინალი კი დაუვიწყარია – გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრებს ჰეთ-თრიკი შევუსრულე.

– ალბათ კითხვაც არაა საჭირო, თუ რომელია თქვენი ყველაზე უფრო დასამახსოვრებელი საფეხბურთო შთაბეჭდილება...

– არაფერი შეედრება იმ გრძნობას, როდესაც არბიტრმა ფინალის დასრულების სასტვენი მისცა. მთელი 2 თვის განმავლობაში საგულდაგულოდ კი ვემზადებოდით, მაგრამ გულის სიღრმეში მაინც ძნელად ვიჯერებდით, რომ საბოლოოდ მსოფლიოს ჩემპიონები გავხდებოდით. მეც გაურკვევლობაში გახლდით – არ ვიცოდი, რამსეი ძირითადში დამაყენებდა თუ არა. გერმნელებთან გადამწყვეტი მატჩის მიწურულს "უემბლიზე" ისეთი ხმაური იდგა, მსაჯის სასტვენის ხმა ვერ გავიგე, სამაგიეროდ დავინახე მისი ზემოთ აწეული ორივე ხელი და მივხვდი, ზღაპარი კეთილად რომ დასრულდა. ჩემპიონობის მოპოვების შემდეგ მოზეიმე ადამიანთა ზღვას შევუერთდით. ამდენი ბედნიერი სახე არც მანამდე და არც მას შემდეგ არასდროს მინახავს. ყველაზე მეტად კი იცით რა ჩამებეჭდა გონებაში? ერთ-ერთ გულშემატკივარს ბანერი ჰქონდა გამოტანილი, რომელსაც დიდი ასოებით ეწერა: "ნობი სტაილზი ინგლისის პრემიერ მინისტრად".

– მსოფლიო ჩემპიონატების საუკეთესო ფეხბურთელად ვის თვლით?

– ყოველგვარი ჭოჭმანის გარეშე პელეს დაგისახელებთ. მსგავსი მოქნილი, ტექნიკური და მიზანმიმართული მოთამაშე მინდორზე არ შემხვედრია. ამასთან პელე მეტად აგრესიული ფეხბურთელი იყო და თავითაც ბრწყინვალედ თამაშობდა. იგი დიდი ხნის განმავლობაში იყო საუკეთესო ფორმაში, რასაც მის მიერ 12 წლის ინტერვალით, 1958 და 1970 წლებში მოპოვებული მსოფლიოს ჩემპიონობა ადასტურებს. "ვესტ ჰემში" ჩემი დამრიგებელი რონ გრინვუდი ამბობდა, ფეხბურთი მარტივი თამაშია, რომელსაც მოთამაშეები ართულებენო. პელეზე ამას ნამდვილად ვერ ვიტყვით – იგი ურთულეს ილეთებს ისე მარტივად ასრულებდა, გაიფიქრებდი, ამის გაკეთებას რა უნდაო...

– მსოფლიოს ბევრი პირველობისთვის მიგიდევნებიათ თვალი. საუკეთესო შთაბეჭდილება მუნდიალის მონაწილე რომელმა ნაკრებებმა დატოვეს?

– რამდენადაც არ უნდა გაგიკვირდეთ, მსოფლიოს ჩემპიონს არ დაგისახელებთ. 1974 და 1978 წლების ჰოლანდია ჩემი აზრით უძლიერესი იყო. ჰოლანდიელები სრულყოფილ ფეხბურთს თამაშობდნენ. განსაკუთრებით იოჰან კრუიფმა მომხიბლა. მას პელეს შემდეგ ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელთა ჩამონათვალში მეორე ადგილზე დავაყენებდი. აქვე ჩემ საკლუბო სიმპათიასაც გაგიმხელთ. ლონდონის "არსენალი" და "ბარსელონა" ტრადიციისადმი ერთგულებისთვის საყოველთაო პატივისცემას იმსახურებენ.

– ინგლისის ნაკრების ყველა დროის თქვენეულ სიმბოლურ ნაკრებს ხომ ვერ დაგვისახელებთ?

–კარში გორდონ ბენქსს დავაყენებდი, დაცვაში ალფ რამსეის, ბობი მურს, ტონი ადამსს, რეი უილსონს. წინა ხაზზე კი ტომ ფინის, ბობი ჩარლტონს, ბრაიან რობსონს, დანკან ედვარდსს, ჯიმი გრივზსა და ალან შირერს გავამწესებდი.

გოჩა კაჭარავა

მოჟდნის მიღმა



„ადიდასის“ ბურთი „ტრიკოლორი“, მსოფლიოს მე-16 ჩემპიონატი,საფრანგეთი, 1998 წელი.
კადრი ფინალური მატჩიდან: საფრანგეთი – ბრაზილია.

ბრაზილია, 2014 წელი.
მსოფლიო ჩემპიონატის მეოთხედფინალი
(ჰოლანდია - კოსტა რიკა).
ბოლანიოსისა და როზენის ორთაბრძოლა.

ISSN 2298-0970
9 772298 097000